



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობილ ბუქ-
უბი სიფყვას, ფუცილებით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყუელა უჯადისებბაჟ უსბაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 1 ნოემბერი. 2019 წ. №217 (8883) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



**უფალო,
უგაგიწყალენ!**

პეტრა საავა ისა უხამსალ მოიქსა...

— ამის შესახებ ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მეუფე ნიკოლოზის თქმით, პეტრე ცაავამ იცრუა, როდესაც განაცხადა, რომ ის პატრიარქმა გადააყენა.

„ვნახე მეუფე პეტრეს კომენტარი და სპეციალურად მოვედი კომენტარის გასაკეთებლად. ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი. მან თქვა კიდევ ერთი ტყუილი, რომ პატრიარქმა გადააყენა. პეტრე გადააყენა წმინდა სინოდმა. სამწუხაროდ, არ დაგვიტოვა არანაირი საშუალება, რომ ეს გადამწყვეტილება არ მიგველო.

მეუფე პეტრე ისე უხამსად მოიქცა წმინდა სინოდის სხდომაზე, რომ ჩვენ იძულებული ვიყავით, ხელით გაგვეყენა წმინდა სინოდის სხდომიდან“, — განაცხადა მეუფემ.

ეკლესიის განწმენდა ღაიწყო!

გიორგი გახარია: მსგავსი თავდასხმები პატრიარქზე, არის შეტევა ქვეყანაზე, ეკლესიაზე

თურქეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ წმინდა სინოდის სხდომის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე საგანგებო განცხადება გააკეთა.

„საქართველოს პატრიარქი არის ჩვენი ქვეყნის სულიერების, ჩვენი წარსულის, დღევანდელი და მომავლის შემკვეთი სიმბოლო. ადამიანები, რომლებიც ვერ თოკავენ საკუთარ ეგოს, უდიდესი რისკის ქვეშ აყენებენ ჩვენს დღევანდლობასა და ხვალისდელ დღეს. ეს აბსოლუტურად მიუღებელია და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე დღეს იქნება ჩვენი პატრიარქის გვერდით. რა თქმა უნდა, ჩვენ ამასაც მოვერევით, ამასაც გავეუძლებთ და აქედანაც უფრო გაძლიერებული გამოვალთ ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით.“

ნიკო ბურჯანაძე: მეუფე პეტრემ არა მხოლოდ პატრიარქს, არამედ მთელ ქვეყანას შეურაცხყოფა მიაყენა

„ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ მეუფე პეტრემ არამხოლოდ პატრიარქს, არამედ მთელ ქვეყანას შეურაცხყოფა მიაყენა.

„ეს არის წარმოდგენილი ლაღატი ქვეყნის, ხალხის, ერის და რწმენის, რომელიც ჩვენ დღეს მოვისმინეთ უკვე გადაყენებული მღვდელმთავარისგან. ეს არის შეურაცხყოფილი მთელი ერისთვის. ღმერთი განსჯის, მაგრამ ფიქრობ, რომ არც კაცთა განსჯა არ უნდა მოაკლდეს მას. მე მივიჩნევ, რომ დღეს არა მხოლოდ საპატრიარქო არის შეურაცხყოფილი იმით, რაც მოვისმინეთ, არამედ თითოეული მორწმუნე. ამ ადამიანმა თავისი განცხადებით შეურაცხყოფა მიაყენა მთელ თაობებს, მთელ მრევლს. ყველა იმ ადამიანს, ვისაც თავი ეკლესიის შვილად მიაჩნია. დამოკიდებულება ხელისუფლების და საპატრიარქოს მიმართ განაპირობებს იმას, რა შედეგიც ჩვენ ახლა მივიღებთ. ყველაფერი მიდიოდა იმისაკენ, რომ დანგრეულიყო ქართული ეკლესია, დანგრეულიყო საპატრიარქო, როგორც ინსტიტუტი. შელახულიყო პატრიარქის ავტორიტეტი. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ არავინ აღარ დარჩეს, ვისაც პატივს სცემენ, ვისაც ავტორიტეტი აქვს,“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

სინოდმა ჭყონდიდის

ეპარქიის მმართველად ნალკელი ეპისკოპოსი ბრიგოლი გამოარჩია

ბუშინ საპატრიარქოში გამართულ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე ჭყონდიდის ეპარქიის მმართველად გამოარჩიეს ნალკელი ეპისკოპოსი მეუფე გრიგოლი.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წარდგინებით, წმინდა სინოდმა ერთხმად გადააყენა მღვდელმთავრობიდან მეუფე პეტრე, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი.

ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად სინოდმა

მიტროპოლიტი იოანე გამოარჩია

საპატრიარქოში გამართულ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე, დაქვერებული ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად გამოარჩია რუსთველი მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი).

ქუთაის-გაენათის კათედრა მას შემდეგ დაქვერვდა, რაც 2019 წლის ივნისში გარდაიცვალა მისი მმართველი მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი). მეუფე იოანე გამრეკელი 2009 წლის 1 ნოემბრიდან განაგებს რუსთავის ეპარქიას.

მეუფე იაკობს შეუნდას და მმართველად დატოვოს

მეუფე იაკობმა ითხოვა შეუნდას წმინდა სინოდის წინაშე და მიეცა გარკვეული გაფრთხილება.

მეუფე იაკობი რჩება ბოდბის ეპარქიის მმართველად.

რუსთავის ეპარქია დროებით მცხეთა-თბილისის ეპარქიის მმართველობის შეუერთდა

რუსთავის ეპარქია დროებით მცხეთა-თბილისის ეპარქიას შეუერთდა და მას მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე უხელმძღვანელებს, — ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა. გადამწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე მიიღეს.

„რბილი ძალა“ და ჩიხში მოქცეული ქვეყანა

ტირმიონი „რბილი ძალა“ მეტად პოპულარულია თანამედროვე პოლიტიკაში. არ არის თოქ-შოუ, საგაზეთო სტატია, განცხადება, სადაც ნახსენები არ იყოს ეს ტერმინი. ქართული პოლიტიკა მას უმთავრესად მზის ხმაობს, როდესაც რუსეთის თემას იხილავს. ჩვენი დასავლელი „პარტნიორებიც“ იმავე გზას ადგანან, უფრო სწორად — ჯერ ისინი და შემდეგ ჩვენ.

ისინი რატომღაც მიიჩნევენ, რომ საქართველოში არსებული პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციები, რუსული ტელეგადაცემები, რუსთა მიერ დაფინანსებული გაზეთები ტვინს უბურღავენ ხალხს და რუსეთის მიმართ პოზიტიურად განაწყობენ. არის მონოდება, რომ შეიზღუდოს ან საერთოდ აიკრძალოს ასეთი, ვინაიდან შიშველი პროპაგანდა და დასავლურად განწყობილ მოსახლეობას ჩრდილოეთისკენ უბიძგებს.

დასავლელი „პარტნიორები“, მათი აქაური შემსრულებლები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა

და მედიის სახით, რომლებსაც პირზე აკერიათ სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია და რაღაც „კრატია“ — წამითაც არ ფიქრობენ, რომ სიტყვისა და აზრის გამოთქმის აკრძალვა ვერ ჯდება სიტყვის თავისუფლების ან დემოკრატიის ცნებაში და დიქტატურის მომასწავებელია.

რაც შეეხება რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილ არასამთავრობო ორგანიზაციას ან ბექტდურ თუ ელექტრონულ მედიას — სად მოელანდათ ასეთი? თუ ისინი თითო-ორიოლა ჟურნალის სტატიას ან ტელეგადაცემაში გაუღერებულ ობიექტურ მოსაზრებას, ევროკავშირისა და ნატოს მიმართ ნათქვამს, თვლიან რუსულ „რბილ ძალად“, ძალიან ცდებიან. გარდა ამისა, ნუთუ ერთი პატარა ჭუჭყრუტიანიდან შემოჭრილი სხივი შეძლებს დასავლური პროპაგანდით გაჟღერებული საზოგადოების ანტიდასავლურად შებრუნებას?

საქართველოში არსებული თითქმის ყველა ტელეკომპანია და ბექტდური მედია, არასამთავრობო სექ-

ტორი და პოლიტიკა ხომ ძირითადად პროდასავლურად ლაღადებს?

როგორც ჩანს, რუსეთის შიში იმდენად ძლიერია, მათ თავსაც ავიწყებს, სიტყვის თავისუფლებასაც და დემოკრატიასაც. მაგრამ მართო რუსეთის შიშით არის განპირობებული აშშ-ის ბიუჯეტიდან მილიონობით დოლარის გამოყოფა რუსეთის „რბილი ძალის“ წინააღმდეგ საბრძოლველად?

როგორც საქმეში ჩახედული ექსპერტები ამბობენ — ეს თანხები (100-ზე მეტი მილიონი) არა მარტო მართლ არასამთავრობო ორგანიზაციასა და მედიაზე ნაწილდება, არამედ ამერიკაში არსებულ ე.წ. არასამთავრობო — „მაკკეინის ინსტიტუტის“ ან „რუსეთის თავისუფლების ფონდის“ მსგავს ორგანიზაციებზე — ანტირუსული კონფერენციების, ღონისძიებების გასამართად. ერთი ასეთი, სულ

გიორგი გახარია პირისპირ რეჟიმ თაიფ ერდოღანს შეხვდა

საპარტიველო-თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს სხდომა უახლოეს პერიოდში ანკარაში გაიმართება, — ამის შესახებ შეთანხმება საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჟეფ თაიფ ერდოღანის პირისპირ შეხვედრისას შედგა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მოლაპარაკებების შედეგად, ასევე გადაწყდა, რომ ნოემბერში, მინისტრების დონეზე, ორი ქვეყნის შერეული ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართება. აღინიშნა, რომ ეს ხელს შეუწყობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას და ამ მიმართულებით არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.


საუბრისას განხილული იყო ენერჯეტიკისა და ლოგისტიკურ სფეროებში თანამშ-

რომლობა, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტის მიმდინარეობა, როგორცაა ბაქო-თბილისი-ყარსი, ასევე — ტურიზმისა და კულტურის სექტორში არსებული ერთობლივი პროექტები.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, რაშიც მნიშვნელოვანი როლი აკისრია როგორც საქართველოს, ისე თურქეთის რესპუბლიკას.

პრეზიდენტმა ერდოღანმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი თურქეთის რესპუბლიკის მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ანკარაში ოფიციალური ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ორმხრივი მაღალი დონის ვიზიტები ახალ დი-



ნამიკას შესძენს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებს. პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ

ფორმატში, სამუშაო სადღეზე გაგრძელდა, რომელშიც ორი ქვეყნის მთავრობის წევრები მონაწილეობდნენ.

გაზაფხულზე საქართველოში თურქეთის პრეზიდენტი გვევება

საპარტიველო-თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს სხდომა უახლოეს პერიოდში ანკარაში გაიმართება, — ამის შესახებ შეთანხმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიასა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჟეფ თაიფ ერდოღანის პირისპირ შეხვედრისას შედგა, ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

თურქეთის რესპუბლიკის მეთაურმა გიორგი გახარიას ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშნა კიდევ ერთხელ მიულოცა.

„იგი გახლავთ ლიდერი, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მუშაობისას ჩვენს შინაგან საქმეთა მინისტრთან ახლო თანამშრომლობა ჰქონდა. მჯერა, რომ ძვირფასი მეგობრის ლიდერობისას საქართველო განაგრძობს განვითარებას და თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო გაფართოვდება. შეხვედრაზე ჩვენი ისტორიული კავშირები, ერთობლივი ფასეულობები და მეზობლობით ჩვენთვის მოტივნილი შესაძლებლობები განვიხილეთ. დღეს მითითება მიეცემა საგარეო საქმეთა მინისტრს და უახლოეს მომავალში გაიმართება სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს შეხვედრა. ჩვენს მეგობარ საქართველოსთან ვაჭრობიდან ტურიზმამდე, ენერჯეტიკიდან თავდაცვამდე, ყველა სფეროში განვითარებადი ურთიერთობები გვაქვს. მჯერა, სტრატეგიული პარტნიორობა არა მხოლოდ ორი ქვეყნისთვის, რეგიონისთვისაც დადებითი შედეგის მომტანი იქნება. მომქმე აზერბაიჯანთან ერთობლივმა ენერჯი და სატრანსპორტო პროექტებმა კავკასიიდან ანატოლი-

ისკენ სტაბილურობის სარტყელის შექმნა უზრუნველყო. სტრატეგიული ხედვით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზურუმის ბუნებრივი აირის მილსადენს, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან ერთად განხორციელებული ტრანსანატოლიური ბუნებრივი აირის მილსადენის პროექტიც მივამატებთ, რითაც ენერჯეტიკის სფეროში ჩვენი რეგიონი ცენტრად ვაქცევით. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით ტრანსპორტირების საკითხში. ბაქო-თბილისი ყარსის სარკინიგზო ხაზი ამ კუთხით ისტორიული ნაბიჯია. ამ სარკინიგზო ხაზის გახსნით სამი მეგობარნი ქვეყანა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.

საქართველოსთვის, სადაც ჩვენს მოქალაქეებს პირადობის მოწმობებით შეუძლიათ მოგზაურობა, თურქეთი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია, რითაც ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ. ვადასტურებ ჩვენს ნებას, ურთიერთსარგებლისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე გავაგრძელოთ და გავზარდოთ ჩვენი ეკონომიკური თანამშრომლობა. დღეს კიდევ ერთხელ გამოვხატეთ ნება, რომ 1,5-მილიარდიანი სავაჭრო ბრუნვა სამილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდოს. ამ ფარგლებში თურქეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გამარტივების პოტენციალი მეთად სარგებლობისთვის საჭირო ნაბიჯებს გადავდგამთ და ჩვენს თანამშრომლობას კიდევ უფრო გავაძლიერებთ. ძალიან მალე ანკარაში გასამართი თურქეთ-საქართველოს შერეული ეკონომიკური კომისიის შეხვედრა ამისთვის ხელსაყრელი შემთხვევა იქნება“, — განაცხადა რეჟეფ თაიფ ერდოღანმა.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას ასევე განხილული იყო უსაფრთხოების სფერო, ორმხრივი თანამშრომლობა და ერთობლივი წვრთნები, რომლებიც ქართველი და თურქი სამხედროების მონაწილეობით, რეგულარულად იმართება.

„საქართველოს დამოუკიდებლობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ტერიტორიული მთლიანობა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს შორის თურქეთსა და საქართველოში ერთობლივი წვრთნების ჩატარება წელსაც გავაგრძელებთ. 2200-მდე ქართველმა სამხედრო პერსონალმა თურქეთში ჩატარებულ ტრენინგებსა და სხვადასხვა კურსებში მიიღო მონაწილეობა. ჩვენს საერთო შავ ზღვაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ჩვენი ძალისხმევა საქართველოს მხარდაჭერითაც გრძელდება“, — განაცხადა რეჟეფ თაიფ ერდოღანმა. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ როგორც საქართველოა თურქეთისთვის წინაპრების სამშობლოში მყოფი ძმებთან დამაკავშირებელი ხიდი, ასევეა თურქეთი საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობების ფრანსალი ფორმით დამყარებაში სტრატეგიული ხიდი.

„მადლობას ვუხდით ბატონ პრემიერს და ძვირფას დედაციას ნაყოფიერი ვიზიტისთვის. უმაღლესი დონის სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს სხდომის გამართვის შემდეგ, მზად ვარ, მივიღო თქვენი მოწვევა საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით გაზაფხულზე“, — განაცხადა რეჟეფ თაიფ ერდოღანმა.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას ასევე განხილული იყო უსაფრთხოების სფერო, ორმხრივი თანამშრომლობა და ერთობლივი წვრთნები, რომლებიც ქართველი და თურქი სამხედროების მონაწილეობით, რეგულარულად იმართება.

„საქართველოს დამოუკიდებლობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ტერიტორიული მთლიანობა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს შორის თურქეთსა და საქართველოში ერთობლივი წვრთნების ჩატარება წელსაც გავაგრძელებთ. 2200-მდე ქართველმა სამხედრო პერსონალმა თურქეთში ჩატარებულ ტრენინგებსა და სხვადასხვა კურსებში მიიღო მონაწილეობა. ჩვენს საერთო შავ ზღვაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ჩვენი ძალისხმევა საქართველოს მხარდაჭერითაც გრძელდება“, — განაცხადა რეჟეფ თაიფ ერდოღანმა. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ როგორც საქართველოა თურქეთისთვის წინაპრების სამშობლოში მყოფი ძმებთან დამაკავშირებელი ხიდი, ასევეა თურქეთი საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობების ფრანსალი ფორმით დამყარებაში სტრატეგიული ხიდი.

„მადლობას ვუხდით ბატონ პრემიერს და ძვირფას დედაციას ნაყოფიერი ვიზიტისთვის. უმაღლესი დონის სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს სხდომის გამართვის შემდეგ, მზად ვარ, მივიღო თქვენი მოწვევა საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით გაზაფხულზე“, — განაცხადა რეჟეფ თაიფ ერდოღანმა.

შედეგ-საქართველოს მეგობრობის მწვენი კუთხე გაიხსნა. სკვერში შედეგის მიერ დაფინანსებული პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში 150 ხის ნერგები დაირგვება. ხეები კონკრეტულად ამ კლიმატური ზონის გათვალისწინებით შეირჩა.

სკვერში პირველი ახალი ნერგები თბილისის მერმა კახა კალაძემ და საქართველოსა და სომხეთში შედეგის ელჩმა ულრიკ თიდესტრომმა დარგეს. მათ ორ ქვეყანას შორის მეგობრული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და მოსახლეობასაც

შეხვედრის შემდეგ, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში დაგეგმილია ბიო-აღდგენის საქმიანობის ხელშეწყობა. მათ შორის 16 ჰექტარ დასუფთავებულ ტერიტორიაზე ხისა და ბუჩქების ადგილობრივი სახეობის 16 000 ნერგების დარგვა ქვეყნის სემიარიდულ რეგიონებში, რაც ამ რეგიონების გაუდაბნოების პროცესის შემცირებას ხელს შეუწყობს.



შეხვედრის შემდეგ, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში დაგეგმილია ბიო-აღდგენის საქმიანობის ხელშეწყობა. მათ შორის 16 ჰექტარ დასუფთავებულ ტერიტორიაზე ხისა და ბუჩქების ადგილობრივი სახეობის 16 000 ნერგების დარგვა ქვეყნის სემიარიდულ რეგიონებში, რაც ამ რეგიონების გაუდაბნოების პროცესის შემცირებას ხელს შეუწყობს.

პარასკევი პარკში 50-ლარიანი ჯარიმა ავტობუსების სრულად განახლების შედეგად ამოქმედდება

თბილისის მერი კახა კალაძე კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ არასწორ პარკირებაზე 50-ლარიანი ჯარიმა მას შემდეგ ამოქმედდება, რაც ავტობუსების პარკი სრულად განახლებულია.

„საკითხი პარლამენტში სამი მოსმენით გავიდა, თუმცა კენჭი არ ეყარა, რადგან ველოდებით ახალი ავტობუსების შემოსვლას და ამის შემდეგ უნდა ამოქმედდეს ჯარიმა. როცა გვექნება განახლებული ავტობუსების პარკი, კენჭი ეყრება პროექტს და შევა ძალაში, მანამდე — არა. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იმგზავროს განახლებული ტრანსპორტით, ასე არის მთელ ევროპულ ქალაქებში. სადაც ეს რე-

ფორმა განხორციელდა, ანალოგიური მიდგომები და დამოკიდებულებაა. საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს ყველაზე სწრაფი და კომფორტული, ადამიანებმა თქვენ არა საკუთარ მანქანებზე“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დღეის მდგომარეობით, დედაქალაქში 35 ათასამდე საპარკინგე ადგილია გამოყოფილი. შეგახსენებთ, 30 ოქტომბერს დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ განაცხადა, რომ თბილისში პარკირების წესის დარღვევაზე ჯარიმა 50 ლარამდე გაიზარდა, თუმცა ჯარიმების ამოქმედების კონკრეტული ვადა არ დაუსახელებია.

სექტემბერში საქართველოს აკონოიქა 5.2 პროცენტით გაიზარდა

წინასწარი შეფასებით, 2019 წლის სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 5.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2019 წლის მესამე კვარტლის რეალური ზრდა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 5.7 პროცენტით განისაზღვრა. ამასთან, 2019 წლის პირველი ცხრა თვის საშუალო რეალური ზრდა 5.0 პროცენტს შეადგენს.

საქსტატის ინფორმაციით, 2019 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდა შეინიშნებოდა მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, სასტუმროებისა და რესტორნების სფეროებში, ასევე დამამუშავებელ მრეწველობაში.

ამასთან, კლებდა აღინიშნა სამთომომოპოვებით მრეწველობაში და კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განვითარებაში.

ამ წერილში ორ, ერთი შეხედვით ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ თემას მივყავართ, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებს - მათი თუნდაც ზედაპირულად განხილვა, კარგად გვაჩვენებს ქვეყანაში არსებულ ვითარებას, საქართველოსთვის იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არჩევნების წინ, რომელიც 2020 წელს გველოდება.

წერილს სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოქვეყნებული ერთი პოსტით დავიწყებ. პოსტით, რომელიც „თხელი“ ირონიით ეხმიანება ბიძინა ივანიშვილის მიერ წყალტუბოს განვითარების გეგმას და ამ გეგმად კარგი გადაწყვეტილების შესახებ ოპონენტების, იმ ოპონენტების, რომლებსაც წგრევის, ხალხის ხოცვისა და ძარცვის გარდა არაფერი გაუკეთებიათ..

„არ გახედოთ წყალტუბოს აღორძინება! - უკვე თქვეს, თუ ჯერ უნდა შეიკრიბონ „ლოზუნგით“ - დღეს მე წყალტუბოს დანერგული ინფრასტრუქტურა ვარ?“

მიჩანს დელოდეთ, მიჩანს ტაძრების მშენებლობას რომ მორჩება, მერე მოგვდებათ თქვენც“.

„ოპონენტების“ ამ განწყობაში ყველაზე „საინტერესო“ კი ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირება „იფუტება“ როგორც საქართველოში რუსული ინტერესებისა და გავლენის გაზრდა და ამ იდიოტური „სოუსით“ ჩვენი და ჩვენი პარტნიორების დაშინება.

ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო იყო ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის მოადგილის და გადაცემა „SWOT ანალიზის“ წამყვანი ნიკოლოზ ლალიაშვილის მოსაზრება.

როგორც გადაცემის ავტორი და წამყვანი აღნიშნავს, რამდენიმე დღის წინ, ქუთაისში, მესხიშვილის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, საპროტესტო აქცია გაიმართა. მოძრაობამ, რომლის სახელწოდებაც „რუსეთი ოკუპანტია“ მესხიშვილის თეატრში მოსკოვის ერთ-ერთი თეატრის გასტროლები გააპროტესტა. „მაშინ როცა საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია და დღესაც ატოცში მავთულხლართებს მართავენ რუსი ოკუპანტები, ქუთაისში მოსკოვის თეატრს არ უნდა მასპინძლობდნენ“ - განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

ნიკა ლალიაშვილის თქმით, ქუთაისის მესხიშვილის თეატრი ევროპის და აზიის ექვს თეატრთან არის დამეგობრებული, მათ შორის მოსკოვის თეატრთან, რომლის დამაარსებელმა მარკ როზოვსკიმ ლია ნერილით გააპროტესტა ყირიმის ოკუპაცია, კულტურის სხვა მოღვაწეებთან ერთად მოუწოდებდა რუსეთის ხელისუფლებას ჩვენთვის ომის შეწყვეტის და საერთოდაც ერთ-ერთი ოპორტიუნის პარტიის პოლიტსაბჭოს წევრიც კი იყო.

ეს არის ორი თეატრის მეგობრობა, ანუ კულტურული ურთიერთობა, შემოქმედებითი მეგობრობა, რაც არავითარ კავშირში არ არის პოლიტიკასთან. თუ მაინც მოგვიჩვენებთ პოლიტიკასთან დაკავშირება, მაშინ აღმოვაჩინებთ, რომ ამ თეატრის დამაარსებელი, მარკ როზოვსკი, ცნობილი ფილმის „დარტანიანი და სამი მუსკეტერი“ სცენარის ავტორი, რომლის სექტაკლები იდგმება ბროდუიზე, ლონდონში, სტოკჰოლმში და მადრიდში, გახლავთ ადამიანი, რომელმაც ლია ნერილით გააპროტესტა ყირიმის ოკუპაცია, რომელიც კულტურის სხვა მოღვაწეებთან ერთად მოუწოდებდა რუსეთის ხელისუფლებას ჩვენთვის ომის შეწყვეტის და საერთოდაც, ერთ-ერთი ოპორტიუნის პარტიის პოლიტსაბჭოს წევრიც კი იყო. ანუ, ეს თეატრი ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს პუტინის რბილად თუ მაგარი ძალის არანაირ გამტარებლად.

დაბუღინებულმა მესხიშვილის თეატრმა სუფთა ქუთაისურად განაცხადა: ბიჯო, ტურისტული რუსეთი და ტურისტების ჩამოსვლა გვინდა, სპორტული და კულტურული რუსეთი არ გვინდაო?

რა თქმა უნდა, გვინდა, მაგრამ სანამ საქართველოში ბატონობს ახალი ქართული პატრიოტიზმი, რომლის მთავარი იდეოლოგია რუსოფობიაა, რომლის შემოქმედი არის ნაციონალური მოძრაობა, მის მიერ შექმნილი ექსპერტებით, მედიით და ნაციონალიზაციით, რომლის მიზანია აქ რუსი ტურისტის და ხელოვანის შემოსვლა კი არა, რუსი ჯარისკაცის შემოსვლა და მინიმუმ რუსეთთან ეკონომიკური ომის წამოწყება გახლავთ, მანამდე ქუთაისის მესხიშვილის თეატრი უნდა შეეგუოს, რომ ყალბი პატრიოტები ნამდვილ პატრიოტებს, ნამ-

დვილ ხელოვანებს, ნამდვილ ექსპერტებს და ნამდვილ ინტელექტუალებს ისევე გაუსწორდებიან, როგორც თავის დროზე გაუსწორდნენ მარკ როზოვსკის საყვარელ ვსევოლოდ მეიერსოლდს“ - განაცხადა ნიკოლოზ ლალიაშვილმა.

„რუსული ბავშვანა“ არის ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი „ბრალდება“, რასაც ეს ქ. „ბრახსამ-თავრობაში“ და „ოპოზიციონერებში“ საპარტიო მართლმადიდებელი ეპარქიის უხელოვანი და უპირობა მრავალი ნაწილი, ცდილობს, მაქსიმალურად გამოუმთხარონ ძირი, განაღდონ შარბინა პატრიარქისა და ეპარქიის ის მაღალი ავტორიტეტი, რომელიც მოსპინძებას არ აძლევს და მათს ვინაობა, ლიბერალისტულ ტრინებში იმ უდიდეს ბოლშევიკს ჩააქვით, რომელსაც ბიბა ბოქარიას ფორმა აქვს.

ნუთუ არ ესმით, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს პატრიარქის ტახტის მიტაცებას?

ნუთუ იმედი აქვთ, რომ მიღწევით მთავარ მიზანს და კვალივით დაინახებენ იმ მარაზმატული გეგმის განხორციელებას, რაც გამოშვლილი ვაშლივით არის მათს ვინაობა, რობოტებულ ტვინებში ჩაბუდებული?

აკლესიას უსუსული „ახალი“ ეშმაკები



ნუთუ ჰგონიათ, რომ ხალხი ამას ისე გადაყლაპავს, როგორც უამრავ ბოროტებას ყლაპავდა? ნუთუ არ ეშინიათ იმ განუკითხაობის, რაც, პირველ რიგში, სწორედ მათ შეინიარავს? და ამ ყველაფრის მეურე კიდევ იტყვის ვინმე, რომ ისინი „ჭკვიანი“, „განათლებული“ და „შორსმჭვრეტელი“ ხალხია? (და ოდნავ „გაალბოთებენ“ - ჰო, ცუდები არიან, მაგრამ რას იზამ, ძალიან მაგრები არიან..)



რაც შეეხება ამ მარაზმატიკების ასირებას ჩვენი დასავლეთელი პარტნიორების მხრიდან ქართული ეკლესიის „ბნელ“ გეგმებსა და ინფორმაციის „ჩაკეტილობაზე“, დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ მედია-ჰოლდინგ „ობიექტივის“ წამყვანის ბონდო მინარაშვილის გადაცემაში საკმაოდ ამომწურავი პასუხი გასცა.

გთავაზობთ დეკანოზის გამოსვლის კომენტარს, რომელიც სოციალურ ქსელში თავად ბონდო მინარაშვილმა დაწერა:

ეს განაცხადება რამდენიმე თვალსაზრისით არის ყურადღასაღები: 1. საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესების შესახებ ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს ინფორმაციას აწვდიან როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. იგულისხმებინან როგორც ქართული დიპლომატიები, ასევე საქართველოს ეკლესიის მიმართ მტრულად განწყობილი ყოფილი ხელისუფლების წევრები და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ენ. არასამთავრობო სექტორი. ამ მოხალისე მავნებლებს არ ენდობიან ვაშინგტონში და ჩვენს საპატრიარქოში;

2. აშშ ხელისუფლებისთვის მნიშვნე-

ლოვანია საქართველოს ეკლესიასთან პირდაპირი კომუნიკაცია და ობიექტური ინფორმაციის მიღება;

3. საქართველოს ეკლესიისთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს ჰქონდეს არა მცდარი, არამედ რეალური ინფორმაცია ეკლესიის შესახებ;

4. ამ პირდაპირი კომუნიკაციით, მართალია, მთლიანად არა, მაგრამ დიდწილად შეწყდება დეზინფორმაციის ნაკადი, რომელიც ცრუ წარმოდგენებს უქმნით ამერიკელებს და ამის დასტურია მათი დიდი ინტერესი, რამაც განაპირობა მოკლე პერიოდში საქართველოს საპატრიარქოს რამდენიმე დელეგაციის ვაშინგტონში ვიზიტი;

5. აშშ-სთან საპატრიარქოს პირდაპირი კომუნიკაცია ვაშინგტონისთვის გარკვეული ბერკეტების მიღებასაც ნიშნავს, რაც გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავს ამ ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტისთვის.

ახლა კი დასკვნის სახით: საქართველოს ეკლესიასთან მუშაობს რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი. საინტერესოა, რას გულისხმობს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოს საპატრიარქოს პირდაპირი კომუნიკაცია, - აშშ ოფიციალური წარმომადგენელი გვე-

ყოლება საპატრიარქოში თუ აშშ-ის საელჩოში გაჩნდება შესაბამისი ვაკანსია და დაინიშნება რელიგიურ საკითხებში გარკვეული ადამიანი (გამიკვირდება, თუ აქამდე არ მუშაობს ამ მიმართულებით ვინმე), რომლის მეშვეობითაც ვაშინგტონი ობიექტურ ინფორმაციას მიიღებს?

ამ და სხვა კიდევ ბევრ შეკითხვას აჩენს ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ინფორმაცია, თუმცა ალბათ ამთავივით შეიძლება ვთქვათ, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი უარს ამბობს საქართველოს პოლიტიკურ სექტორის და არასამთავრობო სექტორის „მომსახურებაზე“ და ცდილობს, პირდაპირი ურთიერთობა დაამყაროს საქართველოს საპატრიარქოსთან.

ასევე არ უნდა გამოვირიცხოთ აშშ-ის გავლენის მოპოვების მცდელობა საქართველოს საპატრიარქოზე და, შესაბამისად, საქართველოს ეკლესიაზე.

როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში უნდა ველოდეთ აშშ-რუსეთის დაპირისპირებას ამ ძალიან სათუთ და ყველა მორწმუნე ქართველისთვის მგრძობიარე ველზე. ამიტომ, სერიოზული დაფიქრება მართებთ ჩვენს მღვდელმთავრებს, რადგან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია მათი რწმენაში განმტკიცება და ამ სიმტკიცით საქართველოს ეკლესიის დაცვა.

წმინდა სინოდის წევრები თუ ერთმანეთში ქიშპს და საპატრიარქო ტახტისთვის ბრძოლას არ მოეწყობიან, ჩვენი დედაეკლესია კიდევ უფრო დასუსტდება და უცხო ქვეყნებს საკუთარი ინტერესების გატარება კიდევ უფრო გაუადვილდება. ეს ინტერესი ნამდვილად არ იქნება ქართული ინტერესი. ჩვენ კი ქართული ინტერესის დაცვა გვჭირდება და ეპისკოპოსებს და სხვა სასულიერო პირებს მოკრძალებით ვთხოვ, ერთმანეთის გასანადგურებლად შემართული მახვილები ან ქარქაში დააბრუნონ და სიბრძნით განსაჯონ ეკლესიაში არსებული

პრობლემები, ანდა საქართველოს ეკლესიის მტრების შესამუსრად გამოიყვონ.

ფრიალ „უცნაური“ იყო პარლამენტის ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის განაცხადება - „მათ (საქართველოს პატრიოტთა ალიანსს) რომ ყური დაუგდო, კრემლში ან დუმაში წასვლით შეიძლება სახელმწიფოს პრობლემები მოგვარდეს და ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ. მათ რომ ყური დაუგდო, ეკლესიასთან რაღაც საფრთხეები არსებობს, რომელსაც თურმე, სახელმწიფო წარმოშობს. საზოგადოებამ უნდა შეაფასოს, ვის რა დამოკიდებულება აქვს, ვინ პოპულისტია და ვინ რეალისტი“.

დავინყებ ბოლოდან - ბატონო გია, საზოგადოება აბსოლუტურად სწორად აფასებს იმას, თუ „ვის რა დამოკიდებულება აქვს, ვინ პოპულისტია და ვინ რეალისტი“. აბსოლუტურად სწორად აფასებს და ამბობს, რომ ბოკერია-სააკვილის მიერ შემოგდებული და ენ. „პრადვინუტ“-წმინდოების მიერ ატაცებული თემა - „კრემლს არ ველაპარაკოთ“, ოკუპანტს უკანალი ვაჩვენოთ და.შ., სხვა მარაზმი სახელმწიფოსთვის, პრობლემების გაჩენა უფროა, ვიდრე „მოგვარების გზების ძიება“ (რა მაგის პასუხია და ყველას კარგად ახსოვს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ზალკალიანისა და ლავროვის შეხვედრის აღფრთოვანებული შეფასებები, ასევე გაბრაზებული ირაკლი კობახიძის მიერ ენ. არასამთავრობების შემოკობა სიტყვა - ფაშისტები).

და რაც შეეხება ეკლესიასთან არსებულ საფრთხეებს, რომლებსაც სახელმწიფო წარმოშობს, ვიტყვი, რომ ეს საფრთხეები სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ დღეს ბოკერია, ნაცები, არასამთავრობოები და სხვა ბანდიტები, სახელმწიფო სტრუქტურებში სხედან და ყველანაირად ცდილობენ ეკლესიის დანგრევას, ხოლო ის ხალხი, ვინც თქვენ იგულისხმებთ როგორც „სახელმწიფო“ (არადა, სტრუქტურებში ისინი უფრო მეტნი არიან), თავიანთი უმოქმედობით ხელს უწყობენ მათ პარაპს.

წერილს კი დავამთავრებ ირმა ინაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტით, რომელიც ფაქტობრივად ყველა „ი“-ს თავზე სვამს წერტილს და პასუხს სცემს ყველა ჩასაფრებულ არამაზადა ლიბერალსტს:

„დისკუსიას შევსწარი, - ვინაა ეკლესიის სახე და იმას ვწერ, რაც, დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთესად იცით.“

საქართველოს ეკლესიის სახეა ჩვენი ბერ-მონაზვნობა, რომელიც ქართველი ერის, საქართველოს და ზოგადად, კაცობრიობისთვის უწყვეტად ლოცულობს. ეს ბერ-მონაზვნობა არ ჩანს საჯარო სივრცეში. მათ კვლიებსა და გამოქვაბულებში აღვლენილ ლოცვაზე დგას ჩვენი ქვეყანა.

ჩვენი ეკლესიის სახეა მართლმორწმუნე მრევლი, რომელიც კარგად აცნობიერებს, რა და რატომ ხდება და ყოველ მორიგ გამოწვევას საუკუნეების მანძილზე უპირისპირებს ლოცვას, მარხვას, ზიარებას, თვინიერებას, სიმშვიდეს, ღვთის სიყვარულს.

საქართველოს ეკლესია დგას ქართველ წმინდანთა დასზე, ჩვენი მოწამეებისა და დიდმოწამეების მეშვეობაზე. ისინი არიან სახე ჩვენი ეკლესიისა.

საქართველოს ეკლესია დგას ამბროსი ხელაის და კირიონ მეორის ღვანლზე. იმ საღვდელთების უტეს სულზე და შეურყეველ რწმენაზე, გმირობის ტოლფას რწმენაზე, რომელსაც ბოლშევიკები წვერის შეკრეფას და ანაფორის გახდას აიძულებდნენ, მაგრამ სიკვდილი ამჯობინეს ასეთ სიცოცხლეს. ეს სამღვდელთობაა სახე ჩვენი ეკლესიისა და დღესაც მრავალად გვყავს პატიოსანი მღვდენი.

საქართველოს ეკლესია დგას უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის უსაზღვრო მოთმინებასა და უძლიერეს ლოცვაზე. ჩემს ცხოვრებაში იმაზე წესიერ ადამიანს, ვიდრე პატრიარქია, არ შევხვედრივარ. მთლიანობაში საქართველოს ეკლესიის სახე ვართ ჩვენ, ყველა ერთად - ერიც და ბერიც, რადგან განუყოფელია ერი და ბერი ეკლესიისაგან.“ ბიბა ბაბრიძე



ტარიფების გათანაბრება საქმიანო სფეროში

ჯანდაცვის მიმართულებით დაგეგმილი რეფორმის პროექტის („მხოლოდ ერთობლივი სწორი ნაბიჯების დროა“) პრეზენტაციაზე ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა, რომ ახალი სისტემა ყველა კლინიკისათვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიწოდებულ სერვისებზე ტარიფებს გაათანაბრებს. „სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც სელექციური ზონით იმდენივე ჩართული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, იღებენ ვალდებულებას, განეხილონ იმის სერვისები, რომლებიც სხვა სახეობის მხარეზე არ არის დადგენილი ვარიანტი“.



ხელოვნური ტენდენციები ბაზარზე ჩვენ დავეკვირდებით. როდესაც დაინყება ტარიფების მოქმედება, სამინისტრო შეაფასებს ბაზრის პასუხს ამ ინტერვენციაზე. დღეს ამის რისკები მინიმალურია“.



პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე

რა მიმართულებები იგულისხმებოდა მინისტრმა, ვინ დააფლავებს ფასს და როგორ აისახება ეს ცვლილება სერვისის მიწოდებაზე? — ამ კითხვებს ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ **თამარ გაბუნია**მ



პასუხობს: „ჩვენ პროგრამა დავიწყეთ რეანიმაციის და კარდიოლოგიური ქირურგიის სერვისიდან, რომელიც ყველაზე მოთხოვნადი, მაღალანაზღაურებადი და დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამდენად, პრიორიტეტულად განისაზღვრა ეს ორი მიმართულება. კლინიკების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შევისწავლეთ რეალური დანახარჯები და ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი ტარიფი პროგრამაში ჩართული ყველა კლინიკისთვის, რაც სწორად ასახავს ბაზრის ტენდენციებს“.

როგორც თამარ გაბუნია განმარტა, დღეს იმ კლინიკებს, რომლებიც სახელმწიფო პროგრამაში თავიდანვე ჩაერთნენ, შემოთავაზებული ჰქონდათ შედარებით დაბალი ფასი, მოგვიანებით შემოსულმა კლინიკებმა კი მათთვის მისაღები, შედარებით მაღალი ფასი შესთავაზეს თავიანთ სერვისებზე და ეს ფასიც იყო მიღებული სა-

ხელმწიფო პროგრამაში. შესაბამისად, ამ ცვლილებით სახელმწიფო ერთნაირ ფასს გადაუხდის ყველა კლინიკას, რომელიც ჩართული იქნება პროგრამაში.

მინისტრის მოადგილე არ ასახელებს კონკრეტულ ფასს, რადგან ინტერვენციების, სამედიცინო ჩარევის მიხედვით, სერვისის ფასი სხვადასხვაა. თამარ გაბუნია ინფორმაციით, ტარიფისა და სერვისების ჩამონათვალს პარასკევს მთავრობის სხდომაზე წარადგენენ. თუკი მთავრობის გადაწყვეტილება დადებითი იქნება, რეანიმაციისა და კარდიოლოგიური ქირურგიის ორი ტარიფი შევა ძალაში 15 დღის ვადაში.

თამარ გაბუნიას თქმით, მოლოდინი აქვთ, რომ უკვე იანვრისთვის დადგენილი იქნება ტარიფები შემდეგი 10, ყველაზე მოთხოვნადი, სერვისისთვის.

ხომ არ გამოიწვევს ეს ცვლილება საყოველთაო დაზღვევის არმქონე ადამიანებისთვის სერვისის ფასის გაზრდას, რათა კერძო კლინიკებმა ზოგ შემთხვევაში სერვისზე დაწეული ფასის კომპენსირება მოახდინონ? კითხვას გაბუნია ასე უპასუხა:

„ეკონომიკურ ლიტერატურაში ამას ჰქვია „ქოსტ შიფტინგი“. თეორიულად ამის რისკი არსებობს, თუმცა, ჩვენ შეფასებით, ტარიფი, რასაც ვთავაზობთ, არის მაქსიმალურად ახლოს საბაზრო ღირებულებასთან. ამდენად, ამან არ უნდა გამოიწვიოს

ცვლილებას და ამბობს, რომ სახელმწიფომ, დაახლოებით, ორი წლის წინათ დაადგინა ერთიანი ტარიფი მშობიარობის ფასთან დაკავშირებით და საჭიროა კიდევ, რომ სხვა სამედიცინო სერვისებზეც ერთიანი ფასი დადგინდეს.

არ შეიძლება, კონკრეტული ოპერაცია ერთ კლინიკაში ღირდეს 300, მეორეში — 2000, როცა მანიპულაციის შესრულებას ის ერთნაირ ხარჯებს მოითხოვს. ეს პრინციპი გამოიყენება ევროპის ბევრ ქვეყანასა და აშშ-ში. აკაკი ზოიძე განმარტავს სელექციური კონტრაქტების მნიშვნელობასაც:

„დღეს ნებისმიერ კლინიკას შეუძლია განაცხადის შევსება და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობა, ფასების დადგენა მომსახურებაზე ისე, რომ არ არის ახსნილი, საიდანაა ეს ხარჯი. სელექციური კონტრაქტებისას კი სახელმწიფო ადგენს მოთხოვნებს ხარისხის, ჭრილობა რამდენად ინფიცირდება ამ დაწესებულებაში, ჰყავს თუ არა სრულ შტატზე ექიმების საკმარისი რაოდენობა, თუ ერთი ადგილიდან მეორეზე დადინდა და ამის გამო პაციენტს უგვიანებენ გადაუდებელ დახმარებას, ანუ ბევრი ფაქტორი იქნება

ჩადებული ხელშეკრულებაში“.

გარკვეული ვადა მიეცემათ კლინიკებს. ეცოდინებათ, მათ მიმართ რა მოთხოვნა არსებობს იმისთვის, რომ მიიღონ საყოველთაო პროგრამაში მონაწილეობა.

როგორც აკაკი ზოიძე ამბობს, იმ კლინიკებს, რომლებიც ჩართული არიან ან იქნებიან საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში, უფლება არ ექნებათ, განსხვავებული ტარიფით მოემსახურონ პაციენტებს, რომლებიც საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში არ არიან ჩართული.

„ევექსის“ ჰოსპიტლების დირექტორთათვის მისაღება სამინისტროსგან შეთავაზებული სელექციური კონტრაქტების ფორმა, რადგან „სელექციური კონტრაქტებზე გულისხმობს იმას, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ გააფორმოს კონტრაქტები ისეთ კლინიკებთან, სადაც სამედიცინო მომსახურების გაცილებით მაღალი ხარისხია. შესაბამისად, პაციენტებს საშუალება ექნებათ, დაფინანსება მიიღონ და იმერსონალი გაცილებით უსაფრთხო და ხარისხიან გარემოში“, — ამბობს გიორგი მინდიაშვილი.

თუმცა „ევექსის“ დირექტორისთვის ჯერ უცნობია, რა მიმართულებებზე დადგინდება ერთიანი ფასი და, ზოგადად, როგორ იქნება მომსახურების ტარიფი: „დეტალური ფასების განხილვა ჩვენთან არ ყოფილა და ამ ინფორმაციას არ გვლობთ. ხვალ უნდა შევივადოთ მოადგილე და შეიძლება მეტი დეტალი გახდეს ცნობილი“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი გიორგი კეპულაძე ამბობს, რომ ფასსარმოებაში სახელმწიფოს ჩარევა პრობლემებს შეუქმნის კლინიკებს, რომელთა უმეტესობაც კერძოა:

„მე არ ვარ ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტი, თუმცა სახელმწიფოს ჩარევა ნებისმიერ ბიზნესსაქმიანობაში, სადაც სისტემა ასე თუ ისე გამართულად მუშაობს, ხელს შეუშლის სფეროს განვითარებას. ფასს ბევრი რამე განსაზღვრავს: ექიმის კომპეტენცია, ინფრასტრუქტურა, დანადგარები. მაგალითად რომ ავიღოთ ტექნიკის მაღაზია, ერთს უფროსი პირობები აქვს და იქ მივიდვარ. ყველას რომ ერთნაირი ფასი ჰქონდეს, იქნებოდა ჩრდილოეთ კორეა, სადაც ყველაფერი ერთფეროვანია და განვითარება არ ხდება“.

ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია, 2018 წელს მილიარდ ლარს გადააჭარბა, ამ თანხის 70%-ზე მეტი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯდება. რამდენად გამართლებულია დაგეგმვაში ცვლილება და რამდენად მომგებიანი იქნება სამინისტროს შეთავაზება კლინიკებისთვის, ეს ჯერ უცნობია.

კვირაში 6 დღეზე მეტხანს მუშაობა შესაძლოა, აიკრძალოს. აუცილებელია დასაქმებულს კვირაში ერთი 24-საათიანი, სრულყოფილი დასვენების დღე მაინც ჰქონდეს, რომელსაც სურვილისამებრ გამოიყენებს. აგრეთვე ცვლილებები მზადდება ექიმების სამუშაო ადგილებთან დაკავშირებითაც. სამომავლოდ სამედიცინო დარგის სპეციალისტებს მაქსიმუმ 2 ადგილას შეეძლება მუშაობა.

შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტში უკვე წარდგინდა. „დღეს შრომის კოდექსი არ ადგენს კვირის განმავლობაში დასვენების დღეების ოდენობას. შესაბამისად, პრაქტიკაში შესაძლებელია და სწორად გვხვდება, რომ დასაქმებულები კვირაში 7 დღეს მუშაობენ.“

იქიდან გამომდინარე, რომ ერთი კონკრეტული დღის უქმე დღედ გამოცხადებამ დიდი გართულება შეიძლება გამოიწვიოს დამსაქმებელთათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ შრომის კოდექსში განვიხილოთ ისეთი ჩანაწერი, რომელიც დასაქმებულთათვის კვირაში სამუშაო დღეების მაქსიმალურ ოდენობად 6 დღეს დაადგენს. შესაბამისად, 1 კვირის განმავლობაში დამსაქმებულს შეეძლება დასაქმების პირი მხოლოდ 6 დღით, — აღნიშნულია პროექტში.

შრომის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები კანონპროექ-

უქმების გარეშე მუშაობა აიკრძალება

ტის ინიციატორებმა, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, უკვე მეორე საჯარო შეხვედრაზე განიხილეს. ამჯერად მათი განხილვის მთავარი თემები შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, ქალთა უფლებების გაძლიერება და დეკრეტული შვილებების ახლებური რეგულირება იყო. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დამსაქმებელთა ასოციაციის, ბიზნეს ომბუდსმენის აპარატის, კერძო და არასამთავრობო სექტორის, ასევე, ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„ანაზღაურებადი დეკრეტული შვილებების სტანდარტების გათანაბრება კერძო და საჯარო სექტორში მნიშვნელოვანია როგორც გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, ასევე დემოგრაფიული და მამების ჩართულობის თვალსაზრისითაც.“

ცხადია, ზოგიერთი კომპანია ახლისებს ამ პროცესს და ანაზღაურებს დეკრეტულ შვილებებს, თუმცა, ვფიქრობთ, პროცესში სახელმწიფოც უნდა



ჩაერთოს. ბიზნესი ამ შემთხვევაში უფრო მოქნილი იქნება და თავისუფლად დასაქმებს ქალებსაც, კაცებსაც, რადგან დეკრეტული შვილებების ანაზღაურება კომპანიისთვის ტვირთი აღარ იქნება“, — განაცხადა დეპუტატმა დიმიტრი ცქტიშვილმა.

ჯანდაცვის სამინისტრო კი შრომის უფლებებისა და კონტროლის მიმართულებით არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად ემზადება. სამომავლოდ ექიმებს შესაძლოა, ორზე მეტ კლინიკაში მუშაობა აეკრძალოს. ოკუპი-

რებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას განმარტებით, არის შემთხვევები, როცა კონკრეტული სპეციალისტის ექიმი რამდენიმე ადგილზე მუშაობს, რის გამოც იქმნება არაერთი პრობლემა, მათ შორის გადაუდებელი შემთხვევების დროს საავადმყოფოში ექიმის დროულად მისვლის.

„ძალიან ბევრი ექიმი მუშაობს რამდენიმე კლინიკაში. ცოტა ხნის წინათ ჩვენ ეს საკითხი შევისწავ-

ლეთ და მივიღეთ ასეთი სურათი — ერთი ანესთეზიოლოგი მუშაობს ორ, სამ, ოთხ, ხუთ, ექვს ადგილას. მეანი, რომელიც არის მაღალი კვალიფიკაციის და ვინც აუცილებლად უნდა იყოს გუნდში, მუშაობს ასევე ორ, სამ, ოთხ ადგილას. ეს იმის მანიშნებელია, რომ დღეს ჩვენ გვაქვს საკადრო რესურსის დეფიციტი, ვიდრე სიჭარბე. ასევე გვაქვს ექთნების მწვავე დეფიციტი სისტემაში, ასევე ვიქმნებთ გადანაწილებულ ექიმს არაერთ ანაზღაურებად სხვადასხვა მცირე ზომის კლინიკებში.“

სამედიცინო სფეროში ის ადამიანური რესურსი, რომელიც დღეს გადანაწილებულია, ფრაგმენტულად აწვდის სერვისს და სწორად იმის გამო, რომ ექიმის გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე დროს მოითხოვს და შეიძლება, დროულადაც ვერ მივიღვს გადაუდებელი შემთხვევებში დანიშნულების ადგილამდე. სამომავლოდ ასეთი რისკები სრულიად მოიხსნება, რადგან ექიმი იმუშავებს ერთ კონკრეტულ დაწესებულებაში, თავის დროს მოახმარს იქ და ექნება ადეკვატური შრომის ანაზღაურებაც“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ თამარ გაბუნია და დასძინა, რომ შეიძლება ექიმს ორ კლინიკაში მუშაობის უფლება მიეცეს, მაგრამ „არა სამში, ოთხში, ხუთსა და ექვსში“.

ანი ბურდული

პარლამენტში დარეგისტრირდა ინიციატივა, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების ერთიანი ეკონომიკაში ჩართვას გულისხმობს. ცვლილება საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლში შევიდა. კანონპროექტი ითვალისწინებს, სპეციალური სანარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (მათ შორის, საზღვაო სივრცეში) წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მიწოდება განახორციელოს როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებით/მიმართულებიდან, ასევე, ბათუმის და ფოთის მუნიციპალიტეტის მიმართულებით ან/და პირიქით, შესაბამისი საზღვაო ნავსადგურების გამოყენებით, საქართველოს ტერიტორიული წყლების მეშვეობით.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, ნიშნავს თუ არა აღნიშნული კანონპროექტი საზღვაო მიმოსვლის აღდგენას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთს შორის?



საკმითხე ბიზნესის სამართლის სპეციალისტი აპაპი ჩარბი-ნიშვილი საუბრობს.

იურისტი განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, კონტაქტების, მიმოსვლის და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების წახალისებას.

„საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის სტრატეგია ითვალისწინებს, მოხდეს ერთგვარი შერიგების წახალისება, იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან დაახლოება და ინტეგრაცია. ჩვენ ორი ძირითად მიმართულება გვაქვს. პირველი ეს არის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“, რომელიც, ერთი მხრივ, ითვალისწინებს ვაჭრობის მიმართულებას. 2018 წელს საგადასახადო კოდექსში სპეციალური ცვლილებები შევიდა. პროგრამამ გაითვალისწინა პიროვნების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები და სპეციალური გამარტივებული რეჟიმი შემოიღო ლეგიტიმურად მცხოვრები ადამიანებისთვის, რათა მათ მიანიჭოს საი-

დენტიფიკაციო პირადობის ნომრის მსგავსი სპეციალური კოდი. მეორე მიმართულება ეხება განათლებას – ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს მიეცათ შესაძლებლობა, ჩაერთონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ეს ნაბიჯები ხელს უწყობს

ბათუმის და ფოთის პორტები ოკუპირებული აფხაზეთიდან გაეშავს მიწოდებას



ნისძიებები არ ნიშნავს ერთგვარად პროგრამას, ცვლილებები მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში შევიდა. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსში გაჩნდა სპეციალური სანარმოს სტატუსი, ამ სტატუსის მინიჭებას უშუალოდ შემოსავლების სამსახური ახდენს. ცვლილებები შევიდა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში, რომელმაც გაითვალისწინა აღნიშნული ტიპის ურთიერთობა. ასევე ცვლილებები იქნა შეტანილი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონში, რომელიც განსაზღვრავს, როგორ შეიძლება ეკონომიკურად აქტიურობა ლეგიტიმურად განახორციელო ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გაჩნდა ცნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე „საქართველოს კანონში, რომელიც განსაზღვრავს, როგორ შეიძლება ეკონომიკურად აქტიურობა ლეგიტიმურად განახორციელო ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გაჩნდა ცნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე“.

მედიკოლოგი „კომერსანტის“ კითხვაზე: აღდგება თუ არა საზღვაო მიმოსვლა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთს შორის, აკაკი ჩარბი-ნიშვილი გვიპასუხებს.

„შესაძლებელი გახდა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვ-

რები ლეგიტიმური პირი, რომელიც დაკავებულია, მაგალითად, თევზის რეწვით, საზღვაო აკვატორიით შემოვიდეს ფოთის ან ბათუმის პორტში და იქ მოპოვებული თევზი შემოიტანოს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ეს არის საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც 2018 წლის ზაფხულში შეიქმნა. შესაბამისად, საქონლის გადმოტანა დიდი ხანია ლეგიტიმურად შეიძლება. ამ ქრილში თუ შევხედავთ საზღვაო მიმოსვლის ნაწილს, აქ იურისდიქცია ვინ როგორდება და ეს ეხება კონკრეტულად სპეციალური სანარმოს სტატუსის მქონე კომპანიას, რომელიც ქართული კანონის იურისდიქციით იმოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე“, – ამბობს იურისტი.

ჯერჯერობით უცნობია – გემი ბათუმის და ფოთის საზღვაო ნავსადგურებში რა დროში შევა, თუმცა შესაძლებელია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად საზღვაო სივრცეში გემი არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის დროში შემოვიდეს. საკითხთან დაკავშირებით აკაკი ჩარბი-ნიშვილის განმარტება ასეთია:

„საკითხთან დაკავშირებით პრობლემა არ უნდა გვექონდეს. თუ გემი შემოვა, ეს

იმას ნიშნავს, რომ ეს არის ის გემი, რომელიც ეკუთვნის კონკრეტულ კომპანიას. კონკრეტული კომპანია ქართული იურისდიქციით განსაზღვრული არის სპეციალური რეჟიმის სანარმოს სტატუსით, ლეგიტიმაცია გაცემულია ქართული კანონმდებლობით და აქედან გამომდინარე, იგულისხმება, რომ მისი დროშა არის ქართული. გემი არის ფაქტი, რომელიც ბალანსზე ერიცხება სპეციალური სანარმოს სტატუსის მქონე კომპანიას, რომელიც არის ქართული სანარმო“, – განმარტავს აკაკი ჩარბი-ნიშვილი.

ამ დროისთვის უცნობია ისიც, მიღებენ თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები იმ ინიციატივებს, რომელსაც საქართველოს მთავრობა სთავაზობს. ასევე უცნობია ისიც, თუ რამდენად მისცემს აფხაზეთის არაღიარებული მთავრობა ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ ლეგიტიმურ პირებს საშუალებას, ჩაერთონ აღნიშნულ პროგრამებში.

ზაზო ადამია

დაიბნეს სპორტული კორპორატი პოპარლული

აჭარაში სპორტული ტურიზმის განვითარების მიზნით გომარდულის განაშენიანების გეგმა და არქიტექტურული დიზაინი მომზადდა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, პროექტი საზოგადოებას უკვე წარუდგინეს. მისი მიზანია სოფლის ვადაქცევა ტურიზმის ცენტრად ოთხივე სეზონზე.



გომარდულის განვითარების გეგმა და არქიტექტურული დიზაინი აჭარაში სპორტული ტურიზმის პოტენციალის კვლევისა და სპორტული ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მომზადების ფარგლებში გაკეთდა. უწყების ცნობით, ჩატარებული მასშტაბური კვლევის შედეგად, რომელიც მსოფლიოში წამყვანმა საკონსულტაციო კომპანია „პროპროექტმა“ (PRO-PROJECT) მოამზადა, რეგიონში სპორტული ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო ადგილებად, გომარდულთან ერთად, ქობულეთი და ბათუმი შეირჩა.

აჭარაში სპორტული ტურიზმის განვითარების პროექტი შერჩეულ ტერიტორიებზე პროფესიული და ელიტური სანვრთნელი ცენტრების, რეკრეაციული სპორტული კურორტების მოწყობას ითვალისწინებს, სადაც სხვადასხვა საერთაშორისო სპორტული ღონისძიების ჩატარება იქნება შესაძლებელი. სამთო-სათხილამურო კურორტი გომარდული ბათუმი-ახალციხის ტრასაზე, ბათუმიდან 90 კილომეტრში მდებარეობს. რამდენიმე წლის წინათ აქ მოთხილამურებისთვის 250-მეტრიანი ბაგირგა და სათხილამურო ტრასა აშენდა.

რუსეთმა აფხაზეთის მის შავაღბანლობაში შეყვანის გეგმის არსებობა უარყო

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ე.წ. საელჩომ უარყო ერთ-ერთ ადგილობრივ ინტერნეტ-პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კრემლი აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანას გეგმავს.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ოქტომ-

ბრის ბოლოს ანონიმი ავტორის მიერ ერთ-ერთ აფხაზურ პორტალზე გამოქვეყნებული ეს სტატია პროვოკაციულ ხასიათს ატარებს და მისი შინაარსი წარმოადგენს ფიქციას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება“, – ნათქვამია ე.წ. საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც რუსული მედია აქვეყნებს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ბოლო დღეებში ახალი გავთულსტარების მონტაჟი დაადასტურა

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ატოცში, გამყოფ ხაზთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელსა და მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ სოფელ ატოცთან 30 ოქტომბერს რეგულარული და დაგეგმილი პატრულირება განახორციელა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აღნიშნავს, რომ „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მონიტორინგს დღე-ღამის განმავლობაში ინტენსიურად ახორციელებს და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის ადგილზე ყოფნა რაიმე სპეციფიკურ ინციდენტზე პასუხს არ ყოფილა, როგორც ამას გარკვეული წყაროები ამბობენ“. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს იყო მისიის გეგმის მიხედვით წინასწარ დაგეგმილი პატრულირება.



ევროსტატის ინფორმაციით, ბოლო 5 წლის მანძილზე დასავლეთ ევროპაში სამუშაოდ დასაქვნილები 4,5 მლნ. უკრაინელი, 3 მლნ. რუმინელი, 2,5 მლნ. პოლონელი, და თითქმის 1 მლნ. ბელორუსი ჩავიდნენ. თუმცა, არის უფრო შთამბეჭდავი ციფრებიც — ბრიტანეთის პარლამენტის წევრის ჯონ ჰოუგის თქმით, მხოლოდ 2016 წელს ქვეყანაში უკეთესი ხელფასის ძიებაში თითქმის მილიონი პოლონელი ჩამოვიდა. ეს მაშინ, როდესაც პოლონეთის ეკონომიკა 20 წლის მანძილზე 2-ჯერ გაიზარდა.

„აღამიანები ყოველთვის იფიქრებენ, რომ ბალახი უფრო მწვანეა მეზობლის ეზოში“, — განაცხადა დეპუტატმა.

თუმცა, საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ კარგია, იქ სადაც ჩვენ არ ვართ. დღეს აქტუალურად დგას საკითხი — რა შედეგებს მოუტანს მუშახელის ასეთი მასობრივი გადაადგილება ორივე მხარეს — როგორც მიგრაციის დონორ, ასევე მიმღებ ქვეყნებს?

როპაში, გამოკითხულთა 24% ემიგრირებას ახლო მომავალში აპირებს. ოფიციალური ვარაუდაც ცდილობს ამ პროცესის შეჩერებას, მთავრობამ მიიღო სპეციალური პროგრამაც კი, რომელიც ახალისებს პოლონელების დაბრუნებას სამშობლოში, თუმცა, ერთეულები ბრუნდებიან.

„როდისმე წარმოვიდგენდი, რომ მეყოლება ბავშვების ძიძა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით?“ — კითხულობს ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატი, ლორდი რიჩარდ ბელფი. ეს შესაძლებელია იმის შემდეგ, რაც პოლონელი დოქტორი ჩამოვიდა ინგლისში დაბალკვალიფიცირებული, თუმცა, ბევრად უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად. „მე ვცხოვრობ კემბრიჯში და აქაურმა მიგრანტებმა უკვე მოახერხეს ინტეგრირება ბრიტანულ სოციალურ სფეროში, მათი შვილები ლაპარაკობენ მხოლოდ ინგლისურად. რა უნდა ვაკეთოთ ამ სიტუაციაში? გავგადოთ ისინი საკუთარ



აღმოსავლეთი ევროპას და საქართველოს ემიგრაცია ახარიალებს

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გაკეთებულ მოხსენებაში რუმინელი იონიტ-მარიან სტრო არ მალავს, რომ სამუშაო ძალის მასობრივი გადინება აღმოსავლეთიდან დასავლეთ ევროპაში გამოწვეულია ეკონომიკური ფაქტორებით. აღამიანები ეძებენ უკეთეს ცხოვრებას.

თანაც, ეს პროცესი არათუ არ მცირდება, არამედ ფართოვდება. დასაწყისში მასში იყვნენ ჩართულნი ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები — პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, თუმცა, დღეს ლიდერობენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები — უკრაინა, ბელორუსი, მოლდავია, საქართველო.

ამ პროცესში თავისი თანამედვერულობა — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეები განვითარებულ ქვეყნებში — ბრიტანეთში, საფრანგეთში, სკანდინავიაში, და ა.შ. გარბიან, ხოლო მიგრანტები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩაიდა. მაგალითად, პოლონეთში, სადაც სოფლის მეურნეობაში და მშენებლობაში უამრავი უკრაინელი მუშაობს. ფრანგი დეპუტატის კლოდ კერნის თქმით, დღეს უკვე ნორმად იქცა სიტუაცია, როდესაც უკრაინელები ან ქართველები შრომობენ პოლონეთში, ხოლო პოლონელები — გერმანიაში და ინგლისში.

2013 წლის კვლევის შედეგების თანახმად, 2004 წლიდან პოლონელების 14%-მა თუნდაც 1 წლის მანძილზე იმუშავა უცხოეთში, დღეს კი ამ ქვეყნის მოქალაქეთა 69%-ს ჰყავს ოჯახის წევრები ან ახლო მეგობრები დასავლეთ ევ-

როპაში, გამოკითხულთა 24% ემიგრირებას ახლო მომავალში აპირებს. ოფიციალური ვარაუდაც ცდილობს ამ პროცესის შეჩერებას, მთავრობამ მიიღო სპეციალური პროგრამაც კი, რომელიც ახალისებს პოლონელების დაბრუნებას სამშობლოში, თუმცა, ერთეულები ბრუნდებიან.

„როდისმე წარმოვიდგენდი, რომ მეყოლება ბავშვების ძიძა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით?“ — კითხულობს ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატი, ლორდი რიჩარდ ბელფი. ეს შესაძლებელია იმის შემდეგ, რაც პოლონელი დოქტორი ჩამოვიდა ინგლისში დაბალკვალიფიცირებული, თუმცა, ბევრად უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად. „მე ვცხოვრობ კემბრიჯში და აქაურმა მიგრანტებმა უკვე მოახერხეს ინტეგრირება ბრიტანულ სოციალურ სფეროში, მათი შვილები ლაპარაკობენ მხოლოდ ინგლისურად. რა უნდა ვაკეთოთ ამ სიტუაციაში? გავგადოთ ისინი საკუთარ

ქვეყნებში?“ — კითხულობს ლორდი. თუმცა, ეს კითხვა რიტორიკულია და პასუხს არავინ ელის.

ჯონ ჰოუგის თქმით, 1990-2012 წლებში აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპიდან, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში 20 მლნ. აღამიანი გადაბარგდა. „ვინ იფიქრებდა, რა გველოდა მაშინ, როდესაც ვემშვიდობებოდით ბერლინის კედელს?“ — აცხადებს დეპუტატი. ფრანგი დეპუტატის ანდრე რეიშარის თქმით, ამ სიტუაციაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტი ზომები იმისთვის, რომ მათი მოსახლეობა დარჩეს სახლში, თუმცა, არ დაუზუსტებია ვინ და რა უნდა გააკეთოს.

მისი თანამემამულე კლოდ კერნი იყო უფრო კონკრეტული — „მიგრაციის დონორ ქვეყნებში უნდა გაუმჯობესდეს სოციალური პირობები და გაიზარდოს ხელფასები“. თუმცა, პრობლემა იმაშია, რომ ეს ზომები მათი მიღების შემთხვევაშიც კი არ იძლევა სწრაფ შედეგებს.

„გაისწავლო, რამდენი დაიხარჯა ყოფილი სოციალისტური გერმანიის ცხოვრების დონის დასავლეთ გერმანიასთან გათანაბრებისთვის — 1,3 ტრლნ. ევრო. აქ კი ერთი კი არა, ათი ქვეყანაა. ევროკავშირს არ გააჩნია ზედმეტი 10 ტრლნ. ევრო. 2019 წლის ევროკავშირის ბიუჯეტი 166 მლრდ. ევროს შეადგენს“, — განაცხადა ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატმა ლორდ დონალდ ანდერსონმა. შესაბამისად, მიგრაცია გაგრძელდება და ევროკავშირის ერთადერთი ამოცანაა — პროცესის შეწყობა.

თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი საპირისპიროდ ხდება. მაგალითად, ევროპაში ამჟამად 5 მლნ. უკრაინელი ცხოვრობს და მუშაობს. ანუ, შრომისუნარიანი მოსახლეობის მეოთხედი. მაგრამ ეს მხოლოდ ხილვადი, ლეგალური ნაწილია. უკრაინის მენეჯმენტის და ანალიზის ინსტიტუტის დირექტორის რუსლან ბორტნიკის თქმით, ევროპაში უკრაინელი მიგრანტთა რეალური რაოდენობა გაცილებით მეტია — 7-10 მლნ. აღამიანი, ანუ შრომითი რესურსის თითქმის ნახევარი.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლის თქმით, „შრომითი მიგრაცია სწორად უკრაინელებისთვის, მისაღები ცხოვრების დონის მიღწევის ერთადერთ საშუალებად რჩება“.

ფინანსური თვალსაზრისით, ეს მომგებიანია ქვეყნისთვის. უკრაინელი შრომითი მიგრანტები სამშობლოში წლიურად 30 მლრდ. დოლარს აგზავნიან. თუმცა, მოგება პირობითია. საბოლოო ჯამში, ზარალი უფრო დიდია — მიგრაციის საერთაშორისო სამსახურის მონაცემებით, უკრაინაში ყოველი მესამე ბავშვი იზრდება მშობლების გარეშე. 200 000 ბავშვს ზრდიან ბებიები და ბაბუების იმის გამო, რომ მათი მშობლები უცხოეთში მუშაობენ.

მოლდავიაში სიტუაცია ბევრად უფრო მძიმეა — იქ მიგრანტების რაოდენობამ მოსახლეობის 17,3% მიაღწია, ხოლო პროგნოზები გაცილებით უარესია. 2035 წლისთვის მიგრანტთა რაოდენობა გაიზრდება მესამედით, ხოლო 2100 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობა 54%-ით შემცირდება.

ბა, 2050 წლისთვის კი მოლდოვის მოსახლეობის 50% საპენსიო ასაკის იქნება.

არავინ, არც დასავლეთ, არც აღმოსავლეთ ევროპაში, არ იცის, რა უნდა გაკეთდეს შექმნილ ვითარებაში. დასავლეთ ევროპაში ამ საკითხისადმი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არ არსებობს. ერთი მხრივ, მდიდარი ქვეყნების პოლიტიკოსებს სამუშაო ადგილებისთვის ადგილობრივ მოქალაქეებსა და მიგრანტებს შორის კონკურენცია აშინებს. თუმცა, ამავე დროს, დასავლეთ ევროპა, რომლის მოსახლეობაც ასევე მცირდება, მიგრანტების ჩამოსვლითაა დაინტერესებული.

2050 წლისთვის ევროპელების რაოდენობა 93 მლნ. აღამიანი შემცირდება და ეს მხოლოდ დასავლეთ ევროპაში. ასევე დემოგრაფიული ვარდნა მოსალოდნელი ევროპის სხვა ნაწილებში. ისეთი ქვეყნების მოსახლეობა, როგორცაა ლატვია, რუმინეთი, ხორვატია, რუსეთი, ლიეტუვა და საქართველო, 20-30%-ით შემცირდება. ასე რომ, რამდენიც არ უნდა ვწუხდეთ მშობლების გარეშე გაზრდილ ბავშვებზე, მიგრაცია — გამოსავალია და როგორც ყოველთვის, ვილაც იგებს, ვილაც აგებს.

ევროკავშირი არც მალავს, რომ იზიდავს ევროპის პერიფერიიდან ყველაზე ახალგაზრდებს და ნიჭიერებს — ამისთვის იქმნება შესაბამისი პროცედურები, რომლებიც ნიჭიერი კადრების გადამობრუნებას ამარტივებს. მისცემს თუ არა ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებს „ახალი სისხლი“ განვითარებისთვის ბიძგს, არავინ იცის. თუმცა, სანამ აღმოსავლეთ ევროპის ჩამორჩენა არ აღმოიფხვრება, არსებული სიტუაცია არ შეიცვლება.

„ჩემი ქალაქი ოდენბურგი ვენისგან 60 კილომეტრში მდებარეობს და თითქმის მთელი მისი მოსახლეობა ყოველდღე დადის სამუშაოდ ავსტრიაში“ — განაცხადა დეპუტატმა კოლომან ბრენერმა, რომელიც მიგრაციის და ცხოვრების დონის კუთხით შედარებით წარმატებულ ქვეყანას — უნგრეთს წარმოადგენს. წარმოიდგინეთ, რა ხდება ქვეყანაში, რომლისთვისაც უნდა იქნას ნაპოვნი დასაქმებულები...

Kommersant.ru

დილოგში განათლების ქალაქი შენდება

საპარტნიორო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ზვიად როსტომაშვილმა დილოგში განათლებისა და მეცნიერების ქალაქის პროექტის ფარგლებში მიმდინარე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კომპლექსის მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს და შეაფასეს.

სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე შიდა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რაც ორი კვირის განმავლობაში დასრულდება.

„მოგესხნებათ, მიმდინარე წლის მაისში დაიწყეთ უმნიშვნელოვანესი პროექტის, განათლების ქალაქის მშენებლობა თბილისში, რომლის პირველი ფაზა — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კომპლექსის მშენებლობის პროცესი სრულდება. სკოლის კომპლექსი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და აერთიანებს, ბიბლიოთეკებს, სპორტულ და საკონფერენციო დარბაზებსა და სხვა. ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა. იანვარში სკოლა უკვე მიიღებს ბავშვებს.

ორ კვირაში აქ ასევე დაიწყება კომაროვის სკოლის დილოგის ფილიალის მშენებლობა. წლეულს ასევე დაგეგმილია პროფესიული სასწავლებლისა და ბავშვებისთვის სამეცნიერო ლაბორატორიის მშენებლობის დაწყებაც. ყველა სამუშაო გეგმურად მიმდინარეობს“, — განაცხადა მინისტრმა.

სამინისტროს ცნობით, განათლებისა და მეცნიერების ქალაქის პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე, 1300 მოსწავლეზე გათვლილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კომპლექსის მშენებლობა მიმდინარე წლის მაისში დაიწყო. სკოლა A და B ბლოკებისგან შედგება — A ბლოკში განთავსდებიან დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები, B ბლოკში კი — საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეები. ბლოკები ერთმანეთთან გადასასვლელი გალერეებით არის დაკავშირებული. მათი კონფიგურაცია და ურთიერთგანლაგება წარმოქმნის სამ შიდა ეზოს, სადაც მოეწყობა სათამაშო და დასასვენებელი ზონები. შენობა ადაპტირებული და

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. სკოლაში იფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზები, სასადილო, ექიმის კაბინეტი, სამი სპორტული დარბაზი, გარე მოედნები. პროექტის ღირებულება 20 მილიონ ლარამდეა. მშენებლობის პროცესში გამოყენებულია ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალა.

ამასთან, წლეულს, განათლებისა და მეცნიერების ქალაქის პროექტის ფარგლებში, ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის დიდი დილოგის ფილიალის მშენებლობაც დაიწყება, რომელიც 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდება. 350 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე ტიპის შენობა ადაპტირებული იქნება, იმუშავებს ლიფტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, საკონფერენციო და სპორტული დარბაზები. ასევე მოეწყობა სპორტული მოედანი და გამწვანდება სკოლის ტერიტორია. სკოლები აღიჭურვება თანამედროვე სასკოლო ინვენტარით. პროექტის ღირებულება 9,5 მლნ ლარია.

განათლებისა და მეცნიერების ქალაქის პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ხელოვნების კოლეჯისა და მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა.

„რბილი ძაღლი“

აშკარა გამოვლინებაა აუიოტაჟის ატეხვა ჯერაც დაუმთავრებელ საქმეზე. მხედველობაში მაქვს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ, საქართველოს მხარდაჭერი აქტის მიღება, რომელიც გმობს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევას.

კანონპროექტი აცხადებს, რომ ამერიკის პოლიტიკა საქართველოსთვის, რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას იქნება.

კანონპროექტს კანონად გადასაქცევად ორი საფეხური აქვს გასავლელი – აშშ-ის სენატი და პრეზიდენტი.

წინასწარი აუიოტაჟი ამ გამოთქმას მაგონებს – „ბავშვი არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო“. სწორედ ამას ჰქვია „რბილი ძაღლი“ – შიშველი პროპაგანდა და ხალხის მოტყუება. არვის შეუძლია, იწინასწარმეტყველოს სენატისა და პრეზიდენტის ბარიერების ჩვენთვის სასარგებლოდ დაძლევა, თუმცა პოლიტიკისთვის, ისე, როგორც აშშ-ის მიერ დაპუტებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

მათ შესარულეს ოკეანისგადაღმელთა დავალება, რომლის მთავარი მიზანი არის საქართველოს დარწმუნება იმაში, რომ აშშ-ის ხელისუფლება დღეიდანაა ზრუნავს საქართველოს კეთილდღეობაზე, რუსეთის ოკუპაციის კლანჭებიდან ქვეყნის დახსნაზე, რუსული „რბილი ძაღლის“ განეიტრალება და ა.შ.

კონფერენციაზე რასმუსენის მოსაზრებას სხვებიც იზიარებდნენ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ფრონტიდან უდგებიან ამ თემას. რამდენიმე მათგანის პოზიცია გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, რითაც შესაძლებლობა მისცა მკითხველს, რეალურად შეეხება საკითხისათვის და შესაბამისი დასკვნები გაეკეთებინა.

აი, რას ამბობს დოქტორი ნილ მამფარლინი (ოქსფორდის უნივერსიტეტი): „რასმუსენი ყოფილი გენერალური მდივანია და მის წინადადებას არაფერი აქვს საერთო ნატოს დღევანდელ პოლიტიკასთან. ამ წინადადების მიღება, ფაქტობრივად, იქნებოდა რუსეთის პოზიციის აღიარება, რომელიც გულისხმობს, რომ საქართველო უნდა მიიღოს „ახალი რეალობა“.

რუსეთს არ სურს ნატოს ჯარების განლაგება მის საზღვრებთან. თუ ნატო ამას გააკეთებს, თბილისის ქუჩებში რუსი ტურისტების ნაცვლად, შესაძლოა, სხვა ტიპის რუსები მივიღოთ – შეიარაღებული და უნიფორმაში. მე-ნ მუხლის წევრი ქვეყანა (განეგრების შემთხვევაში) გახდება აგრესიის მსხვერპლი“.

დოქტორი რიხარდ შამილტონი (აშშ-ის არმიის საბრძოლო კოლეჯი): „მე-ნ მუხლთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის, რომ თითოეული წევრი ინდივიდუალურად წვეტს, როგორი იქნება მისი პასუხი ნატოში განეგრებული საქართველოს წინააღმდეგ, რუსული აგრესიის შემთხვევაში. ომში ჩართვა ავტომატურად არ ხდება“.

ასე რომ, ჩვენი პოლიტიკის თავდაჯე-

რებული ლაბარაკი ნატოს მე-ნ მუხლის მიერ საქართველოს უყოყმანო დაცვის თაობაზე – უფრო ილუზიაა, ვიდრე რეალობა. ლოზუნგი – „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“ თანამედროვე ვითარებაში, მითუმეტეს რუსეთის წინააღმდეგ, თვითმკვლელობის მომასწავებელია, რისი სურვილიც არც ერთ ნატოს წევრ ქვეყანას არ ექნება.

დოქტორი დანიელ შამილტონი – ავსტრიის „მარშალის გემის ფონდის“ პროფესორი: „საქართველოს მთავრობისთვის უკეთესი იქნება, თუ ნატოს წევრი ქვეყნების პოზიციებში კარგად გაეგრძედა და თავს არ ჩაიგდებს ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ალიანსის მხარდაჭერას. ... ნატოს შიგნით არ არსებობს კონსენსუსი საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით. რომც არსებობდეს, ქართველები მაინც უნდა დაფიქრდნენ, მისაღება თუ

ქართული პოლიტიკა, როგორც ჩანს, სიღრმისეულად არ იხილავს ნატოს ქარტიის მე-ნ მუხლს, რომელიც მკაცრად არ ავალდებულებს სამხედრო დახმარების განეგვს წევრ სახელმწიფოებს, თუკი რომელიმე მათგანი აღმოჩნდება აგრესიის ობიექტი.

ყველას გვახსოვს თურქეთის მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება ისტორია – თურქეთის მიმართვა ბრიუსელისადმი მოსალოდნელი რუსული აგრესიის მოსაგერიებლად. მაშინ ბრიუსელმა ანკარას ურჩია, თვით მოეგვარებინა საკითხი მოსკოვთან.

არ ჩანს ნატოს პოზიცია სირიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ნატოს აქტიური წევრი თურქეთი ისე კვეთს სირიის საზღვარს და იწყებს სამხედრო ოპერაციას ქურთების წინააღმდეგ, ბრიუსელმა არც კი იცის ამის შესახებ.

თურქეთმა აუცილებლად მიიჩნია ალ-

ორე შემთხვევაში – ფოლკლენდის კუნძულებზე. ასე რომ, სრული შესაძლებელია ანალოგიურის საქართველოზე გავრცელება, თან იმასაც ამატებს, რომ თვით ქარტიაში მე-ნ და მე-ნ მუხლები იქნება შესაცვლელი და მეტი არაფერი.

კოფის აბსტრაქტული წინადადება მხოლოდ ერთზე მიგვანიშნებს – ხშირად ვილაპარაკოთ ამ თემაზე, დაეზაფროთ საკუთარი ხალხი, ისე, როგორც რუსეთის ხელისუფლება.

კოფი ხელისუფლებას ურჩევს, დაითანხმოს ნატო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე საქართველოს განეგრებაზე. ფართო პროპაგანდა აწარმოოს საკუთარ ხალხში ამ პროექტთან დაკავშირებით, და არწმუნოს ის ამ ნაბიჯის სარგებლიანობაში.

„სანამ ის ამას არ გააკეთებს, არ უნდა იყოს იმის მოლოდინი, ვაშინგტონი, ლონდონი თუ პარიზი ამ საკითხს აიტაცებენ“, – აცხადებს კოფი.

კოფის ინტერვიუდან გამომდინარე, უმაღლესადედატ ვეჭვი საქართველოს ნატოში ოდესმე განეგრების თაობაზე. ტერიტორიული მთლიანობის საკითხს კოფიმ ახალი ინიციატივა დაამატა – სირიიდან გამოყვანილი ამერიკული ჯარის ახალქალაქში, ყოფილ რუსულ სამხედრო ბაზაზე განლაგება.

საქართველოში უკეთესი ვითარებაა, ვიდრე ერაყში – ბრძანა მან.

კოფის ნათქვამი იმის მაჩვენებელია, თუ რა მბრძანებლური დამოკიდებულება აქვს მის ქვეყანას „პარტნიორების“ მიმართ.

ვიდრე კოფი ამას იტყოდა, ჰკითხა საქართველოს ხელისუფლებას?

ვეჭვობ, რომ ასე ყოფილიყო. მაშ, რამ უბიძგა მას ამ განცხადებისკენ? იმან ხომ არა, ჩვენი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ოპოზიცია, მუდამ რომ ეხვეწებიან აშშ-ს სამხედრო ბაზის გახსნას?

კოფი მიიჩნევს – სტრატეგიულმა პარტნიორმა დახმარება უნდა გაუწიოს ამერიკას და კონგრესის მიერ შემუშავებული კანონპროექტის საპასუხოდ გადადგას ეს ნაბიჯი.

„მუშტი ყველი სათაგურშია“, ასე რომ, პარტნიორი, რომელიც სისტემატურად რალაცას გიკეთებს, თავისთავად გავალდებულებს საპასუხო მოქმედებას. ვინც ამას არ გაიზიარებს, შენს გასაკუთრებელს ის გააკეთებს, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე.

კოფი აშშ-ის სამხედრო ძალების ექსპერტია და დაუფიქრებლად, ამერიკელ სამხედრო ჩინოსნებთან, პოლიტიკოსებთან შეთანხმებლად, არაფერს იტყოდა. ეს მოსაზრება, უფრო სწორად გადაწყვეტილება, „ზემოდან“ მოდის.

როგორ უნდა მოიქცეს საქართველო? რა თქმა უნდა, ძალიან ფრთხილად, გონივრულად, ასჯერ გავიხსენოთ და ერთხელ გასაჭერის პრინციპით!

შამილტონი, პოლიტოლოგი.



„რბილი ძაღლი“ და რისუი მოქსეული ქვეყანა

არა ეს გზა თავიანთი ქვეყნისთვის“.

დოქტორი ტრეისი შამილტონი (ლონდონის კინგის კოლეჯი): „ნაკლებად საგარეუდაა, რომ მოსკოვი მიიღებს საქართველოს ნატოში განეგრებას – საპასუხო ქმედების გარეშე და მაშინ საქართველოს ნატოში განეგრება აღიქმება როგორც პროვოკაცია“.

გახსოვთ ალბათ რასმუსენის და სხვათა განცხადებებს რა ჟრიაშული შეხვედრენ ნაციონალები, განსაკუთრებით მათი შვილეული „ევროპული საქართველოს“ წევრები – ბოკერია, ბაქრაძე, სხვები. „TV-1“-ის ეთერში ბოკერია აღფრთოვანებას ვერ მალავდა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში განეგრებასთან დაკავშირებით. პატრიოტობაც ამას ჰქვია!

არა მგონია, ზემოთყვანილ მეცნიერებს, ნაკლები ცოდნა ჰქონდეთ ნატოსთან მიმართებაში ან შეუსაბამო დასკვნებს აკეთებდნენ საქართველოს ნატოში განეგრების კუთხით, ვიდრე ქართველ პოლიტიკოსებს, მაგრამ ვინ უდგებს მათ ყურს?! სამწუხაროდ, არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია, არც საზოგადოების გარკვეული ნაწილი! მათთვის საქართველოს საჯილდაო ქვაა, უფრო სწორად ქვეყანა, რომლიდანაც საკუთარი ჯიბისთვის მოგება უნდა მიიღონ.

მათთვის ბრაისას ნათქვამი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ექსპერტიზა. სწორედ ბრაისას რჩევებმა დაღუპა საქართველო წინა ხელისუფლების დროს. ის არც ახლა დუმს, პირიქით, აქტიურობს: „თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, რუსეთი ვერაფერს გააკეთებს. არ მგონია, რუსეთმა გამოიყენოს ძალა“.

ბრაისას ვარაუდს გადავაყოლოთ ქვეყანა?



ნიშნული თემის მოსკოვთან განხილვა და არა ბრიუსელთან ან ვაშინგტონთან. ვაშინგტონი თვით ეახლა ანკარას და არა პირიქით. თურქეთის მოქმედებამ გააღიზიანა „თეთრი სახლი“. პრეზიდენტმა ტრამპმა თურქეთის წინააღმდეგ ძაღლი გამოეყენება არ გამოიყენება. რა შეიძლება დავარქვათ ამას, თუ არა სტრატეგიული შეუთანხმებლობა ნატოს წევრებში?!

„რბილი ძაღლი“ მორიგი დემონსტრირების მაგალითია საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილი ამერიკელი ექსპერტის კოფის გამოჩენა. მკითხველს ემასოვრება მისი რჩევები ნატოში აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის გარეშე შესვლასთან დაკავშირებით.

ისე, როგორც ადრე, ექსპერტი ცდილობს, აგვისხნას, რამდენად არის შესაძლებელი საქართველოს შესვლა ნატოში მაშინ, როდესაც მე-ნ მუხლი არ გავრცელდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთზე. მას მოჰყავს აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მაგალითები. პირველ შემთხვევაში მე-ნ მუხლი არ ვრცელდება ჰავაისა და გუამზე, მე-

„ბრენლანდია“ გასატანია დარბაზიდან!

ბრიტოლ ონიანი უზადო პატრიოტი და მამაცი ადამიანი რომ არის, ეს დიდი ხანია, ვიცი. ისიც კარგად ვიცი, რომ, რაზეც ის წერს, ზედმიწევნით და ღრმად იცის. ყურმოკრულ ამბებს კი არ მოგვითხრობს, ყველაფერი გამოწვლილვით და დოკუმენტურად აქვს შესწავლილი. პრინციპული კაცია ბატონი გრიშა. ვინმეს შიშით ან ხათრით არასოდეს იტყვის, შავზე თეთრი. იშვიათია დღეს ამგვარი ხასიათისა და პოზიციის მქონე კაცები! ამიტომ, რომ სიცრუესა და სიყალბეში გამოჭრილ ყოფილი ჩინოსნებსა თუ უჩინოებს ერთადერთი „გასამართლებელი“ საბუთი აკერიათ პირზე – „აბა, რა მექნაო“.

გვეხაურაზიან



უნევეს „აბა, რა მექნას“ თქმა. სტატია – „გაიტანეთ პარლამენტიდან გრელანდია!“ მისი ავტორის საიმოქალაქო გმირობად მიმაჩნია! რატომ გმირობად? იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ოფიციალური პროპაგანდის ტყვეობაშია. ის ხალხი, რომელიც „სხვისი თავით“ ფიქრობს და დასკვნებსაც მის მაგი-

რად სხვები აკეთებენ, უკვე აღარ არის საზოგადოება, ბრბოა და ბრბოს ეზინია ყველას, ან თითქმის ყველას, მათ შორის გულად ადამიანებსაც (გაიხსენეთ დათა თუთაშხისასა და მოსე ზამთარაძის დაპირისპირება სეთურის მონებთან!). სამწუხაროდ, ამ ბრბოში ერთობ მცოდნე, მაგრამ მედროვე ადამიანებიც არიან,

რომლებიც ჭეშმარიტებას კი არა, საკუთარ მდგომარეობას (სკამებს, კაბინეტებს, ხელფასებს...) იცავენ. როდესაც მომავალი რკინის ცოცხით მოვა, ისინი მაშინვე ნაცარს წაიყრიან თავზე და იტყვიან: „აბა, რა მექნაო“.

ხვალნდელი თაობა ბევრ ისტორიკოსს ანახავს თავზე ნაცარნაყრილსა და თავლაფდასმულს. კაცი, რომელმაც დიდი ილია მართალი ნაფოტს შეადარა (ტყე რომ იჩეხება, ნაფოტები ცვივაო) მომავალი ეროვნული სახელმწიფოს წინაპრად შეიძლება მივიჩნიოთ? არა და არა, მაგრამ იმ არაბაობა „გრელანდიას“ არავინ გაიტანს დღევანდელი პარლამენტიდან, რადგან იმ „პოლიტიკოსმა“ და მისთანებმა ჯერ ევროპის რამდენიმე ქვეყანა მოინვიდეს საქართველოს პატრიონად და მერე, როდესაც თავის „მთავრობასთან“

ერთად აქედან გაიქცნენ (ეროვნული განძის წაღება არ დაევიწყებია!), იმავე ევროპას – „ჩვენს ისტორიულ სახლს“ შეაფარეს თავი. აბა, ამგვარ წინაპარს როგორ შეეღვევიან დღევანდელი ჩვენი მედასავლეთეები! სხვათა შორის, ის განძი საქართველოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იოსებ სტალინმა დაუბრუნა და არა ვინმე სხვამ! ასე რომ, სიმართლეს იტყვის ის სუფთა, უცოდველი მომავალი, რომელიც აუცილებლად მოვა! დღეს კი გრიშა ონიანების სამოქალაქო გმირობა ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენის ერთადერთი გარანტია! ღმერთმა ამრავლოს ისინი!

ზურაბ ცუცქერიძე, პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიების წევრი.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: +995 32 243 95 03; ფაქსი, +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№123/ს
31/10/2019

123-21-4-201910310943



მასპროტის მიზნით სოჭის ბიძინისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დაბრუნებული დანართი №1-ის შესაბამისად;

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე დე-

ბულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის №21 დადგენილების, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 ოქტომბრის №2249 განკარგულების საფუძველზე.

- გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:
1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად;
 2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დაბრუნებული დანართი №1-ის შესაბამისად;
 3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის - www.eauction.ge-ს, მეშვეობით;
 4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით;
 5. დაველოდოთ იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინფორმაციის გამოქვეყნება ცენტრალურ პრესაში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა;
 6. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მომსახურების სააგენტოს;
 7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე წაიღოს ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემთავაზებულ ფასს;
 8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელაშვილის გამზირი №6) კანონით დადგენილ ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი,
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



დანართი №1

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2019 წლის 31 ოქტომბრის
№ 123/ს ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება მასპროტის მიზნით სოჭის ბიძინისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57
3 ელ-ფოსტა	info@nea.gov.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება განხორციელოს საქართველოს მთელი ტერიტორიაზე, გარდა დაცული ტერიტორიებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა; ა.ა) ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის სრულად ათვისების ან არაუგვიანეს ლიცენზიით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, სამინისტროში და სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ანგარიში, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის სახეობის და რაოდენობის შესახებ, მოპოვებულ რესურსში არასტანდარტული ბოლქვების/გორგლების საერთო წილის (%), ინფორმაცია რესურსის მოპოვების ადგილების შესახებ, მუნიციპალიტეტი, სოფელი/ადგილი, GPS კოორდინატების მითითებით, ინფორმაცია ქვეყნის შიგნით გადამუშავებული ან/და ექსპორტირებული რესურსის ოდენობის შესახებ, ექსპორტის შემთხვევაში შესაბამისი ნებართვის („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, განსაზღვრული ნებართვა) ნომერი და თარიღი“. მოპოვებული რესურსის და მისი შემდგომი განკარგვის შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №179 ბრძანებით დამტკიცებული

		„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის წესისა და ვადების“ ფორმა №5 ცხრილი №1 -ის შესაბამისად, ანგარიშს უნდა ერთვოდეს შესაბამისი ფოტომასალა (მთ შორის მოპოვების ამსახველი ფოტომასალა). ა.ბ) ლიცენზიის მფლობელმა გორგლების მოპოვებამდე სამინისტროში განსახილველად უნდა წარმოადგინოს რესურსის მოპოვების გეგმა-გრაფიკი კონკრეტული უბნების მიხედვით, გეოგრაფიული კოორდინატების მითითებით (Shape-Files). ასევე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია უბნის ფართობის და ჰაბიტატის ტიპის შესახებ. აღნიშნული გეგმა-გრაფიკის შეთანხმებამდე არ უნდა განხორციელოს რესურსის მოპოვების სამუშაოები. ა.გ) ყოჩივარდას გორგლების მოპოვება განხორციელდეს წინასწარ წარმოდგენილ რესურსის მოპოვების გეგმა-გრაფიკში მითითებულ ტერიტორიაზე. ა.დ) ყოჩივარდას გორგლების მოპოვება უნდა მოხდეს უტყეო ფართობებიდან, მდელოებიდან, გამეჩხრებული (საბურველის შეკრულობა ნაკლებია 30%) ტყეებიდან და გზისპირებიდან.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ყოჩივარდას გორგლების მოპოვება განხორციელდეს საქართველოს მთელი ტერიტორიაზე გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და დაცული ტერიტორიებისა.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და დაცული ტერიტორიებისა
8	აუქციონის საწყისი ფასი	40 000 (ორმოცი ათასი) ერთეული, 4 000 (ოთხი ათასი) კვ - ზე საწყისი სააუქციონე ფასი განისაზღვროს 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით.
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4500 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4600 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 4 ნოემბრიდან 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 2 დეკემბერს 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 3 დეკემბერს დღის 12:00 დასრულდება 2019 წლის 3 დეკემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს იროდიონ ბალანჩივაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: იროდიონ ბალანჩივაძე (პ/ნ 33001003551), ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №4, ბინა №1.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №4, ბინა №1 (საკადასტრო კოდი: 26.26.01.042.01.001). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდაამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 11827.43 ლარი;
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2019 წლის 1 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2019 წლის 15 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP63296619; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 632966
6. მოვალე: იროდიონ ბალანჩივაძე (პ/ნ 33001003551), ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №4, ბინა №1.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63296619; ლოტის ნომერი: 632966).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 15 ნოემბრის 10:00 საათამდე.

განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მამუკა ჯინჭარაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მამუკა ჯინჭარაძე (პ/ნ 61007004116), ბათუმი, თბილისის 1 შესახვევი №2;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ბათუმი, თბილისის მე-2 შესახვევი №7 (საკადასტრო კოდი: 05.34.23.385). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდაამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 12294.84 ლარი;
3. აუქციონის დაწყების დრო: 2019 წლის 18 ნოემბერი, 12:00 საათი;
4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
5. მოვალე: ბაგრატ ჯინჭარაძე (პ/ნ 61007001137), ბათუმი, თბილისის ქ. №1; ბათუმი, თბილისის ქ. №6.
6. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
7. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 18 ნოემბრის 12:00 საათამდე.

პროვნილი ბიბლიოთეკა აზარტული თამაშების წინააღმდეგ

პროვნილი ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებებზე აზარტული თამაშების სარეკლამო ბანერები აღარ განთავსდება, – ამის შესახებ ბიბლიოთეკის დირექტორი ბიორგი კეკელიძე სოციალურ ქსელში წერს.

„წლების წინ ერთი კარგი თანამშრომელი გვყავდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ცხადია, ის ბიჭი ახლაც კარგი ბიჭია, უბრალოდ ჩვენთან აღარ მუშაობს. არ მუშაობს იმიტომ, რომ ყველამ ერთად გამოვცადეთ, რას უშვება ადამიანს ეს დიდი და საზინელი მიჯაჭვულობა – აზარტული თამაშების მონობა ანუ ლუდომანია. დავინახეთ, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ამ ერთი და-

უკვირვებელი შეხვედით, უწყინარმა გართობამ, სხვა მხრივ, სრულიად ჯანსაღი ადამიანი. დავინახეთ, რომ უკვე რაღაც რელიგიასთან გათანაბრებულ ექსტაზს დავმსგავსა ეს გზა – სხვები, უბრალოდ აღარ ვარსებობდით და თუ ვარსებობდით, ამ ყველაფრის დროებით ინსტრუმენტად – 100 ლარის მსესხებლად. არასდროს ვიტყვი, არც ამ ადამიანის სახელს და არც იმას – სად მივიდა მისი „ფანტაზია“. არ ვიტყვი, მათ შორის იმითმაც, რომ მგონია – მას აქვს უკან დაბრუნების შანსი – ცხოვრება და ბიბლიოთეკაშიც. ცხადად მესმის, რომ ადამიანი თავი-სუფალი არსებაა იქამდე, სანამ სხვას არ



აზარტებს. ზოგადი დათქმით და უჩარჩო ფიქრითაც ასეა – უნდა მოწვევს, უნდა თავს მოიკლავს და უნდა ითამაშებს. მაგრამ კიდევ უფრო ცხადად მესმის და მჯერა, რომ ჩვენ – სხვა დანარჩენი ადამიანები თანაგრძნობის არსებები უნდა ვიყოთ. უნდა ვცვალოთ და იმ სივრცეში, სადაც ჩვენი ხმა ფასობს, უარი ვუთხრათ ამ

მოუთოკავ სენს. ვიცით, რომ ვერ დავამარცხებთ და სულ იარსებებს, მაგრამ მანძილს მაინც შევუზღუდავთ“, – წერს ბიორგი კეკელიძე „ფეისბუქზე“.

მისივე თქმით, არ არის მორალისტი, მორალიზმით დაავადებული და არც იმას კიცხავს, ვინც თვეში ორჯერ ტოტალიზატორში 10 ლარს იღებს და შეიძლება, მოგებული ოცი ლარით დამატებით პროდუქტს ყიდულობს.

„მაგრამ იქ, სადაც ადამიანები თავს კარგავენ, სადაც სათამაშო აპარატებზე ბოლო ჯეკპოტად თვითმკვლელობის თოკი „ჯდება“ – ხმა უნდა ამოვიღოთ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება ღონისძიებები, სადაც მათ შორის აზარტული თამაშების რეკლამასაც მოკრავთ თვალს. ჩვენ ამიერიდან გადავწყვიტეთ და ამგვარ ბანერებს აღარ განვათავსებთ. ზღვაში წვეთია, მაგრამ ეს წვეთიც ვინმე მწყურვალს დახრჩობას აარიდებს“, – აღნიშნავს ბიორგი კეკელიძე.

განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გულჩორა მატკავას, ივორ მატკავას და მარინე მატკავას თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრები: გულჩორა მატკავა (პ/ნ 42001010815), ივორ მატკავა (პ/ნ 42001023554), მარინე მატკავა (პ/ნ 42001012376), ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №18, სართ. 3, ბინა №51.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №18, სართ. 3, ბინა №51 (საკადასტრო კოდი: 04.01.10.722.01.051). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდაამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 7709.41 ლარი;
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2019 წლის 1 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2019 წლის 15 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP63300119; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 633001
6. მოვალე: ზიზი რიგვაა (პ/ნ 01033004292), ქ. ფოთი, ლიეპაის ქ. 8, ბინა 50.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.


9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63300119; ლოტის ნომერი: 633001).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 15 ნოემბრის 10:00 საათამდე.

ჭიდაობა

„ოქროები“, „ბრინჯაოს“

საბარტმელოს თავისუფალი სტილით მორკინალეებმა უნგრეთში მსოფლიოს 23-წლამდელთა ჩემპიონატზე გამოსვლა სამი მედლით დაასრულეს. უკვე ვწერდით, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მირზა სხულუხია და ტარიელ გაფრინდაშვილი. ასპარეზობის ბოლო დღეს ბრინჯაოს ჯილდო 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი სულავამ დაიმსახურა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში მან თურქი ერილმაზი წმინდად დაამარცხა. მსგავსი წარმატების შანსი ჰქონდათ დემურ მეგენიშვილსა (92 კგ) და ზურაბ ურთაშვილს (125 კგ), მაგრამ ისინი გადაამწყვეტთ ორთაბრძოლაში დამარცხდნენ. ხვალიდან ხა-



ლიჩაზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები გავლენ... გივი ბაგუა

ჭადრაკი

შანსს პინარჩუნებით

ბათუმში გაგრძელდა მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. მე-6 ტურში წარმატებით ითამაშა საქართველოს ქალთა პირველმა ნაპრემამ, რომელმაც სპარტაი 4:0 დაამარცხა (იოვანა ერიჩი - ნანა ძაგნიძე 0:1, ტეოდორა ინჯაჩი - ბელა ხოტენაშვილი 0:1, ადელა ველიკიჩი - მერი არაბიძე 0:1, მარინა გაიჩინი - სალომე მელია 0:1). საქართველოს მე-2 ნაპრემისა და პოლონეთის პაექრობა ფრედ - 2:2 დასრულდა (ნინო ბაციაშვილი - მონიკა სოჩკო 1:0, ნინო ხომერიკი - იოლანტა ზავადსკა

ქართველო - 10 (17.5), აზერბაიჯანი - 9 (15.5), საქართველო (2) - 8 (14), პოლონეთი - 8 (13.5), სომხეთი - 8 (14.5), უკრაინა - 8 (13), სერბეთი - 8 (14.5)... საქართველო (3) - 4 (11).

ვაჟთა შეჯიბრების მე-6 ტურში ჩვენი ორივე ნაკრები დამარცხდა: საქართველო - ჩეხეთი 1.5:2.5 (ბაადურ ჯობავა - დავიდ ნავარა 0:1, ივან ჩეპარინოვი - ვიქტორ ლაზნიჩკა 0.5:0.5, ლევან ფანცულაია - ვან გუენი 0.5:0.5, გიგა ყუფარაძე - პეტერ მიჩალიკი 0.5:0.5); საქართველო (2) - შვედეთი 0.5:3.5 (ნოე თუთისანი - ნილს გრანდელიუსი 0:1, ნიკოლოზ პეტრიაშვილი - ჯონათან ვესტერბერგი 0:1, ნიკოლოზ კაჭარავა - ერიკ ბლომკვისტი 0:1, გიორგი სიბაშვილი - პონტუს კარლსონი 0.5:0.5)... რუსეთი - უკრაინა 2.5:1.5, გერმანია - აზერბაიჯანი 2.5:1.5, სლოვენია - სომხეთი 1:3, ინგლისი - ხორვატეთი 3:1.

ექვსი ტურის შემდეგ: რუსეთი - 11 (16), გერმანია - 10 (14), უკრაინა - 9 (14), სომხეთი - 9 (15.5), ინგლისი - 9 (15.5)... საქართველო - 6 (13.5), საქართველო (2) - 4 (9.5).

ლადსო ცინცაძე



0:1, სოფიკო ხუბაშვილი - კარინა კიფვა 0:1, სოფიკო გვეტაძე - ალისია სლივიცკა 1:0). ჩვენმა მისამხმ ნაპრემამ პოლონეთისთან 1:3 წააგო (ლილე ქორიძე - ანე შაასტი 0:1, ეკატერინე ფიფია - ჟოზეფინა პაულუტი 0:1, თამარ ესაძე - თეა ლანჩავა 1:0, ნია დოღვანი - როზა რატსმა 0:1). ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი მატჩები: რუსეთი - აზერბაიჯანი 2:2, უკრაინა - უნგრეთი 2.5:1.5, იტალია - თურქეთი 2:2, ლატვია - სომხეთი 1.5:2.5.

ექვსი ტურის შემდეგ: რუსეთი - 11 (16.5), სა-

64

ივლი ერთ-ერთი კლინიკის ფიზიკური მონიშვნების მეფის შევინჯობისას

საერთაშორისო დიდოსტატი (1950), საერთაშორისო არბიტრი (1951), საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი (1948), პროფესიით ინჟინერი, მთავარი არბიტრი 1972 და 1974 წლების ვაჟთა მსოფლიო ოლიმპიადებში. კულტურული თანამშრომლობისა და მეგობრობის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში (1959-81).

კოტოვი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში (1939) პირველივე გამოსვლისას მე-2 ადგილზე გავიდა (ბოტვინიკის შემდეგ), იყო მოსკოვის ჩემპიონი (1941), მონაწილეობდა საერთაშორისო ასპარეზობაში, საუკეთესო სპორტული შედეგი აჩვენა სტოკჰოლმში - 1 ადგილი (1952). საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში წარმატებით გამოდიოდა არგენტინის, ბრიტანეთის, უნგრეთის, ამერიკის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდებთან პაექრობისას. საბჭოთა ქალაქებში სისტემატურად ტარდებოდა (1982-1987) ა. კოტოვის სახელობის მემორიალი.

თაგაზ შანგალია

საშაგათო კომპინასციების დიდოსტატი

კოტოვი - კალმანოვი 1936




მოგება

1. f7: a6+ 2. f6 e8 3. d8 e6+


ცენტრალურ ვერტიკალს აკონტროლებს ეტლი, მეფეს ახშობს და კუს მოშორება გზიდან გვირგვინოსანს საშაგათო ქსელში ახვევს.

კოტოვი „შანგატი 3 სსსრ“, 1945 წ.



მოგება

1. f7: a6+ 2. f6 e8 3. d8 e6+ 4. d8 e6+ 5. d8 e6+ 6. d8 e6+ 7. d8 e6+ 8. d8 e6+ 9. d8 e6+ 10. d8 e6+ 11. d8 e6+ 12. d8 e6+ 13. d8 e6+



ალექსანდრ კოტოვი 1913-1981

ივლის მონანილოებით დახვეწილი პოზიციების შეფასება არს ერთ ქალაქის მანქანას არ ქალუქს...

როზარტ ფიშერი

წყალბურთი

მესამე მარცხი

თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დედაქალაქის წყალბურთულ ვაჟთა გუნდმა „დინამომ“ წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაზე მესამე მატჩი გამართა. მან წინა ორი შეხვედრა სტუმრად ესპანეთის „ტერასასა“ (5:9) და ზაგრების „მადოსტთან“ დათმო (1:9), მესამე ტურში კი სახელოვან კლუბს - ბუდაპეშტის OSC-ს დაუბრისპირდა.

„დინამო“ - „ბუდაპეშტი“ 8:14 (3:2, 1:3, 0:5, 4:4)

„დინამო“: რაზმაძე, ქავთარაძე, ცრეპულია (1), იმნაიშვილი, ბითაძე (1), ელაჩა, ჯანაია (1), ბალათურია, რურუა (2), მაგრაქველიძე (1), ბარალდი (2), ვაპენსკი, შუბლაძე.

„ბუდაპეშტი“: მიტროვიჩი, კოვაჩი (2), მანპერსი (2), რანდელივიჩი, ბურიანი (2), პრლაინოვიჩი (1), სემანი, ტოტი, ერდელი (2), უბოვიჩი (3), ბუნდშუხი, უკროპინა (2), ლევაი.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე სტუმართა გუნდის მწვრთნელმა ლაიოშ ვადმა დაუფარავად თქვა - თბილისში მორიგი სამი ქულის წასაღებად ჩამოვედითო. მაღიარებმა სიტყვა საქმედ აქციეს,

თუმცა ეს მესამე პერიოდში მოხდა. მანამდე დინამოელები ტოლ-სწორად ეთამაშნენ მეტოქეს. მეტიც, პირველი პერიოდის დასაწყისში მასპინძლები ფაბიო ბარალდის, ანდრია ბითაძისა და გიორგი მაგრაქველიძის გოლებით 3:0 დაწინაურდნენ. უნგრელებმა გარდატეხა მხოლოდ მესამე პერიოდში მოახერხეს და საბოლოოდ 14:8 გაიმარჯვეს.

დინამოელები ჩემპიონთა ლიგაზე მე-4 ტურის შეხვედრასაც შინ გამართავენ - 9 ნოემბერს ისევ უნგრელებს უმასპინძლებენ, ოლონდ ამჯერად - ბუდაპეშტის „ფერენცვაროშ-ტელეკომს“, ქვეყნის 23-გზის ჩემპიონს, ჩემპიონთა ლიგის 2018-2019 წლების გათამაშების გამარჯვებულს, ევროთასის ორგზის, სუპერთასის სამგზისა და თასების მფლობელთა თასის ოთხგზის (სარეკორდო) მფლობელს.

ლუბა დიდია



ფიზბურთი

მსაა მცველი?!



მადრიდის „რეალის“ კაპიტანმა სერხიო რამოსმა, ესპანური პრიმერას მე-11 ტურში „ლეგანესს“ (5:0) 24-ე წუთზე პენალტი გაუტანა და ლიონელ მესის შემდეგ მეორე ფეხბურთელი გახდა, ვინაც ტურნირის ზედიზედ მე-16 სეზონში შეძლო გატანა.

33 წლის რამოსი „სამეფო კლუბში“ 2005 წლიდან თამაშობს. სულ „რეალის“ მისურით მან 468 მატჩში მიიღო მონაწილეობა, 62 ბურთი გაიტანა და 30 საგოლე პასით გამოირჩა. კლუბთან მისი მიმდინარე კონტრაქტი 2021 წლის ზაფხულამდეა გათვლილი.

გიორგი შოთაძე



საიღუმლო წვრთნები ატლანტის ოკეანეში

რუსეთში ატლანტის ოკეანეში წყალქვეშა ნავეების მონაწილეობით საიდუმლო წვრთნებს ატარებს. ამის შესახებ ნორვეგიული ტელეკომპანია NRK დაზვერვაში საკუთარ წყაროზე დაყრდნობით იტყობინება.

გავრცელებული ინფორმაციით, ოპერაციაში 10 წყალქვეშა ნავი მონაწილეობს. მათი მიზანია, რაც შეიძლება შორს შევიდნენ ოკეანეში ისე, რომ მათი აღმოჩენა ვერავინ შეძლოს. ასე ნავეები აშშ-ის აღმოსავლეთ ნაპირთან შეუმჩნეველად მისვლაზე მუშაობენ. ნორვეგიელი ჟურნალისტები აცხადებენ, რომ ეს ცივი ომის შემდეგ წყალქვეშა ნავეების მონაწილეობით ყველაზე მსხვილი მანევრებია.

მომხდარს რუსული მედიაც გამოეხმაურა. ერთ-ერთი გამოცემის წყაროს ინფორმაციით, ბარენცისა და ნორვეგიის ზღვებში გეგმიური სწავლებები მიმდინარეობს.

რუსეთმა ჯარი აღმოსავლეთ უკრაინიდან უნდა გაიყვანოს!

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა რუსეთს უკრაინის აღმოსავლეთიდან ჯარის გაყვანისკენ მოუწოდა.

გამოცემის ინფორმაციით, შესაბამისი განცხადება სტოლტენბერგმა უკრაინაში ვიზიტისას, ოდესაში გააკეთა. მან ასევე აღნიშნა, რომ ალიანსი კონფლიქტური რეგიონებიდან ძალების გაყვანას დადებითად აფასებს.

„ჩვენ დაძაბულობის შემცირების მცდელობას და ძალების გაყვანას მივესალმებით. მაგრამ ვიცით, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევა დღემდე გრძელდება. ნატო ცალსახად აცხადებს, რომ რუსეთს უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრია და თავისი ჯარი, ყველა თავისი ოფიცერი აღმოსავლეთ უკრაინიდან უნდა გაიყვანოს“, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

29 ოქტომბერს უკრაინის სახელმწიფო ჯარმა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა სეპარატისტებმა აღმოსავლეთ უკრაინიდან ძალების გაყვანის პროცესი დაიწყეს. კონფლიქტი 5 წლის წინ დაიწყო. შედეგად 13 000 ადამიანი დაიღუპა, 40 000 კი დაიჭრა.

სამიტი კვლავ რუსეთის გარეშე

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ორპარტიული რეზოლუცია მიიღო, რომელიც „დიდი შვიდეულის“ სამიტებზე რუსეთის მიწვევას ეწინააღმდეგება. ამის შესახებ ნათქვამია ნიუ ჯერსის შტატის დემოკრატი კონგრესმენის ალბიო საირესის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. საირესი რეზოლუციის თანავტორია.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ დიდი შვიდეულის სამიტებში რუსეთის მონაწილეობის პირობა მის მიერ მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიული საზოგადოების სტანდარტების პატივისცემა წარმოადგენს.

„როდესაც რუსეთი უკრაინაში მისი აგრესიული ქმედებებისთვის 2014 წელს „დიდი რვიანიდან“ გარიცხეს, დარჩენილმა შვიდმა ქვეყანამ შეათანხმა პირობები, რომლებიც უნდა იყოს დაცული იმისთვის, რომ რუსეთს მთავალ სამიტებში მონაწილეობის ნება დართონ. რუსეთს ამ პირობებიდან არც ერთი არ შეუსრულებია, ხოლო უკრაინაში კიდევ უფრო დიდი აგრესიის გამოვლენა და სხვა ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, დემოკრატიის ხელყოფა დაიწყო“, – განაცხადა კონგრესმენმა საირესმა.

აღნიშნული რეზოლუცია კონგრესში 2019 წლის აგვისტოში დარეგისტრირდა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მომავალი დიდი შვიდეულის სამიტზე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიწვევის სურვილის შესახებ განაცხადა.



საშუალო ხელფასის გამოთვლის ახალი მეთოდოლოგია

სტატისტიკის ეროვნული სამსახური მომავალი წლიდან საშუალო ხელფასის გამოთვლის არსებული მეთოდოლოგიის ალტერნატიულ ვარიანტზე იმუშავებს, – ამის შესახებ „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ტოდრაძემ გუშინ განაცხადა.

მისი განმარტებით, სტატისტიკის ეროვნული სამსახური საშუალო ხელფასს თავისი კვლევების საფუძველზე ითვლის.

„გარდა ამისა, მიზანია გაცნობოთ, რომ მომდევნო წლიდან საშუალო ხელფასის ალტერნატიულ ვარიანტზე ვიმუშავებთ, ანუ ადმინისტრაციული მონაცემების დამუშავების საფუძველზე გვექნება შესაძლებლობა, ჩვენს მომხმარებლებს მედიანური ხელფასის მაჩვენებელი შევთავაზოთ“, – განაცხადა გიორგი ტოდრაძემ.

საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი თვეში 1179.8 ლარს შეადგენს.

გლდანის ციხის პატიმრები იუსტიციის სამინისტროს დაასაქმეს

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით გლდანის ციხის პატიმრები იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები გახდნენ, რაც საჯარო სამსახურში პატიმრების დასაქმების პირველი პრეცედენტიცაა.

„იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტი არის პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე ზრუნვა. მოგვსენებათ, გლდანის საპრობლიემში უკვე გვაქვს ერთი პროექტი, რომლის ფარგლებშიც 7 მსჯავრდებული სოფლის მეურნეობის სფეროში არის დასაქმებული. დღეს იწყება მეორე პროექტი ამავე პენიტენციურ დაწესებულებაში და ის არის უპრეცედენტო იმიტომ, რომ პატიმრები საჯარო სამსახურში დასაქმდნენ, ისინი მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დიგიტალიზაციის პროექტში და ექნებათ სტაბილური შემოსავალი“, – განაცხადა თეა წულუკიანმა. უწყების ინფორმაციით, პატიმრები სერვისების განვითარების სააგენტოში გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების სკანირებას განახორციელებენ. პროექტში 10 მსჯავრდებულს ჩართულია და მათი ყოველთვიური ანაზღაურება 300 ლარს შეადგენს. სამუშაოს დაწყებამდე მათ სპეციალური კურსი გაიარეს.



სანთელი

პროფ. ა. ხომასურაძე გამოსატყვევებლად მწუხარებას და თანაუგრძობს ქალბატონ ნუცას, ნუკრი და ნინო კინტრაიებს ბატონი

პალიკო კინტრაიას

გარდაცვალების გამო.

ი. ჟორდანიას სახ. რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას პროფესორ

პალიკო კინტრაიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძობს უცხადებს მის ოჯახს.

გრიგოლ (გიშუსა) ბისევილი ოჯახით: მეუღლე – მზიური გურგენიძე, შვილები – ბესიკ, თამთა ბისევილები ოჯახებით იუნცებიან რძლის

სისანა ლაზარუს ასულ

ჩირუა-ბისევილის

გარდაცვალება. დაკრძალვა 2 XI, ლანჩხუთის რაიონი, სოფ. მანჯვარეთი.

სსოვნა

ზურაბ საშაღია

შენს სახელს დაწვინება არ უნერია ჩემო ზურაბ, 1 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, წელს მეორედ გვხვებით უშენოდ, მაგრამ მაინც შენთან ერთად, რადგან ის სიყვარული, რაც ჩვენს გულში დანერგე, მანამ იცოცხლებს, სანამ ჩვენ ვიქნებით ამქვეყნად.



კაცობაა დიდი, იმუშაო ადმინისტრაციულ ორგანოებში და ისეთი სახელი დატოვო როგორც შენ, საყვარელო ძმაო. ნათელში იყოს შენი სუფთა სული.

თენგიზ ძაბთარაძე

აქტიური პროცესი ნოემბერში

გაოფიზიკური აქტივობის გაძლიერება ამ თვეში მოსალოდნელია 2-4, 7, 11-11 და 20-30 რიცხვებში. ამ დღეებში სავარაუდოა ციკლონების ფორმირება და ავარიულობის მატება.

2 – მთვარის სატურნთან და პლუტონთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. შესაძლოა სახსრების ტკივილები. მოერიდეთ ტრავმებს.

4 – მთვარის პირველი მყოფი მარცხული თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, საერთო სისუსტე. ერიდეთ სტრესებს.

7 – მთვარის აპოლონის, მისი შეერთება ნეპტუნთან თივზების თანავარსკვლავედში. გამოირიცხული არ არის ინფექციური დაავადებები, ფეხისგულების შეშუპება და ტკივილები. ერიდეთ სავარაო და ტრავმის მისაღებად სახიფათო სიტუაციებს.

11 – მთვარის შეერთება ურანთან კუროს თანავარსკვლავედში. ნერვული სისტემის მდგომარეობა დამოკიდებულია გონებრივ დატვირთვაზე. რეკომენდებულია დიეტის დაცვა.

12 – სახამთმთვარეობა კუროს თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია არტერიული წნევის ნახტომისებრი მატება. მოერიდეთ გაცივებასა და უხარისხო კვების პროდუქტების მოხმარებას.

20 – მთვარის ბოლო მყოფი ძალწულის თანავარსკვლავედში. ერიდეთ საჭმლის მონელების სისტემის აშლილობებს, ფალარათს, კუჭის შეკრულობას, მოწამვლას.

24 – მთვარის მარსთან შეერთება მორი-



ელის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა ბუასილის გართულება. დაიცავით დიეტა.

25 – მთვარის მერკურთან შეერთება მორიელის თანავარსკვლავედში. არ არის გამოირიცხული ყელისა და ყელის იოგების დაავადებები. მოერიდეთ ინფექციებს.

26 – ახალმთვარეობა მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. ესაა ყველაზე დიდი ფიზიკური და სულიერი დაღლილობის დღე. ეცადეთ, არ წამოიწყოთ ახალი საქმე და დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ.

28 – მთვარის იუპიტერთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში, ხოლო მერკურთან – თხის რქის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა ართროზისა და ართრიტის გამძაფრება, ნუ ასწვეთ სიმძიმებს, მოერიდეთ დიდ ფიზიკურ დატვირთვებს.

30 – მთვარის სატურნთან და პლუტონთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. შესაძლოა რევმატიზმის და ოსტეოქონდროზის გამძაფრება. არ არის რეკომენდებული სამომავლო გეგმების დასახვა და ახალი საქმეების წამოწყება.

ამერიკულმა ტელეარხმა CNN-მა ევროპის უღამავეს ქალაქთა ოცეულის ნუსხაში თბილისი შეიტანა, რომლის სიბლი იმავით მდგომარეობს, რომ აქ ტურისტები ნაკლებად არიან.

ოკეანისგან მდებარე ტელე-ურნალისტებმა ბებერი კონტინენტის ის ყველაზე მომხიბლავი ქალაქები შეარჩიეს, სადაც სელფის სიყვარულით გონს გადასული ტურისტები იმ რაოდენობით არ არიან, როგორც ვთქვით, პარიზში, ვენეციაში, ამსტერდამში, ან საქვეყნოდ ცნობილ სხვა მიმზიდველ ქალაქებში.

ყველაზე ლამაზები

ისინი ტურისტებს საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსვლას და თბილისის ძველი უბნების მოკირწყლულ ქუჩებში გასეირნებას, პატარ-პატარა მა-

ლაზიების თუ მყუდრო კაფე-ბარების სტუმრობას ურჩევენ, სადაც რამდენიმე საათით სასიამოვნო გარემოში დროის გატარებას შეძლებენ.



ტურიანი



თბილისი



ჰაბაბა

ბარდასკალების შედეგად დიდ ფულს... უოულოგან

გამოცემა Forbes-მა გარდაცვლილი ვარსკვლავების 2019 წლის ფინანსური რეიტინგი გამოაქვეყნა.

ვარსკვლავების რეიტინგში, რომლებიც გარდაცვალების შემდეგაც ფინანსურ მოგებას იღებენ მაიკლ ჯექსონი 460 მოგებით ლიდერობს. განახლებულ რეიტინგში მე-12 პოზიციაზეა უიტნი ჰიუსტონი. მომღერლის შემოსავალმა გასულ წელს 49,5 მილიონი შეადგინა.

გარდაცვლილი ვარსკვლავების 2019 წლის ფინანსური რეიტინგი:

13. **ჯორჯ პარისონი** - გარდაიცვალა 2001 წელს - შემოსავალი \$9 მილიონი;
12. **უიტნი ჰიუსტონი** - გარდაიცვალა 2012 წელს - შემოსავალი \$9,5 მილიონი;
11. **ევან ადტერი** - გარდაიცვალა 2018 წელს - შემოსავალი \$10 მილიონი;
10. **ნიმსლეი ჰუსლე** - გარდაიცვალა 2019 წელს - შემოსავალი \$11 მილიონი;
9. **პრინსი** - გარდაიცვალა 2016 წელს - შემოსავალი \$12 მილიონი;
8. **მერლინ მონრო** - გარდაიცვალა 1962 წელს - შემოსავალი \$13 მილიონი;
7. **ჯონ ლენონი** - გარდაიცვალა 1980 წელს - შემოსავალი \$14 მილიონი;
6. **DR. SEUSS-ი** - გარდაიცვალა 1991 წელს - შემოსავალი \$19 მილიონი;
5. **ბობ მარლი** - გარდაიცვალა 1981 წელს - შემოსავალი \$20 მილიონი;
4. **არნოლდო პალმერი** - გარდაიცვალა 2016 წელს - შემოსავალი \$30 მილიონი;
3. **ჩარლზ სჩულზი** - გარდაიცვალა 2000 წელს - შემოსავალი \$38 მილიონი;
2. **ელვის პრესლი** - გარდაიცვალა 1977 წელს - შემოსავალი \$39 მილიონი;
1. **მაიკლ ჯექსონი** - გარდაიცვალა 2009 წელს - შემოსავალი \$60 მილიონი;

Forbes-ის რეიტინგში გასულ წელსაც მაიკლ ჯექსონი ლიდერობდა. 2018 წელს მისმა შემოსავალმა \$400 მილიონი შეადგინა.



სანძარმა შურის სიხე გაანადგურა

იპაონიში სანძარმა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული შურის ციხე-სიმაგრის მთავარი ნაგებობები გაანადგურა. მესხანძრები ცეცხლის ჩაქრობას რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ.

კუნძულ ოკინავაზე მდებარე შურის ციხე-სიმაგრე 500 წლის წინ რიუკუს დინასტიის დროს არის აგებული. 1933 წლიდან მას იპაონის ეროვნული განძის სტატუსი აქვს მინიჭებული. ციხე მთლიანად განადგურდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ამჟამინდელი ნაგებობა რეკონსტრუქციას წარმოადგენდა.



„ბიბისის“ ცნობით, მთლიანად განადგურებულია შურის ციხე-სიმაგრის მთავარი შენობა, ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაგებობები.

გერმანიაში მწერების რაოდენობა მსიკრება

2017 წლის ოქტომბერში მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევის შედეგები გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც გერმანიაში 30 წლის განმავლობაში მწერების რაოდენობა თითქმის 3/4-ით შემცირდა. მეცნიერთა ახალმა ჯგუფმა კი, რომელსაც სებასტიან საიბოლდი და ვოლფგანგ ვაისერი ხელმძღვანელობდნენ, წინა კვლევის შედეგები დაადასტურა და განავრცო.

2008-2017 წლებში მეცნიერები გერმანიის სამ რეგიონში რეგულარულად ითვლიდნენ მწერებს და სხვა არტოპროდებს, როგორცაა ობობები და მილიფედეები. კვლევის დროს შეისწავლეს 290 ლოკაცია, რომელთა შორისაც არის მდელოები და ტყეები. რამდენიმე ათეულ ტერიტორიას მეცნიერები გარკვეულ პერიოდში ერთხელ ამოწმებდნენ და სწავლობდნენ. საბოლოოდ, მეცნიერებმა გააანალიზეს ერთ მილიონზე მეტი მწერისა და სხვა არტოპროდების მონაცემები, რომლებიც 2700-ზე მეტ სახეობას მიეკუთვნებიან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მდელოებსა და ტყეებში, კვლევის განმავლობაში, სახეობათა რაოდენობა, დაახლოებით, 1/3-ით შემცირდა - ბალახიან ადგილებში მათი საერთო მასა 67%-ით, ხოლო ტყეებში 40%-ით.

მკვლევრების აზრით, მწერების ყველა სახეობის რაოდენობის შემცირება, სავარაუდოდ, სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული.



რუსოპირი პალტის ჯისი:

- აშუ ფოლარი - 2.9632; პირი - 3.2963;
- ბრიტანული ბიკანა სტარლინი - 3.8184;
- 100 რუბლი - 4.6445; თურქული ლირა - 0.5158;
- ახარბაიჯანული მანათი - 1.7430;
- 1000 სომხური დრამი - 6.2187.

აიმილი 1 ნოემბრისთვის

აქროსპალითი სპარტივლო:				
ბარი -	ლამ	+6,	ლვ	+15
მთიანი რაიონები -	ლამ	+1,	ლვ	+14
დასავალითი სპარტივლო:				
ბარი -	ლამ	+9,	ლვ	+19
მთიანი რაიონები -	ლამ	+3,	ლვ	+11
თბილისი:	ლამ	+11,	ლვ	+16

დაპირიკაპით, მოგვარაპით:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სვარტაძე თოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანამდებობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „**კოლორ პრესი**“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საზურაღდეოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დანიშნულია ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაქვეყნებელი: „**ელვა.ჯი**“
577 991651
577 308847
შპს „**მასენი**“
599 982777
„**პლანეტა ფორტა**“
579 799908